

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ  
ପାଠୀକାଳୀଙ୍କାରିତାକାରି



ცნობარი  
ბაზისალებისათვის

თბილისი  
2011 წელი

ცნობარი განკუთვნილია ბებიაქალებისათვის. მასში ძირითადად მოცემულია ის მეთოდები და წესები, რომელთა შესრულება უხდებათ/ევალებათ მათ, აგრეთვე მტკიცებითი მედიცინის პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომები და სიახლეები, რომელიც უკანასკნელ წლებში იქნა მოწოდებული და დანერგილი სამეანო პრაქტიკაში. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მოკრძალებული მცდელობა ცნობარში მოკლედ აგვესახა ორსულობის და ფიზიოლოგიური მშობიარობის მიმდინარეობის და წარმართვის ძირითადი პრინციპები, დაეხმარება ბებიაქალების ახალ თაობას ამ რთული, მაგრამ საინტერესო სპეციალობის დაუფლებასა და ცოდნის გაღრმავებაში.

## გესავალი

მოკლე ისტორიული ცნობები - მეცნიერების დარგად ჩამოყალიბებამდე მეანობამ საკმაოდ ხანგრძლივი და რთული გზა გაიარა. ამჟამად იგი განიხილება როგორც ორსულობასთან, მშობიარობასა და ლოგინობის ხანასთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესების შემსწავლელი მეცნიერება, ხოლო მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს სწავლება ახალშობილის განვითარების შეფასებისა და მოვლის თაობაზე.

საუკუნეების განმავლობაში მშობიარობის მიმღებნი იყვნენ „ბებიაქალები“ ამ პროცესში მამაკაცების მონაწილეობა სირცხვილად ითვლებოდა. მე-17 საუკუნიდან ეს დამოკიდებულება შეიცვალა. რევოლუციური მნიშვნელობის ფაქტადაა მიჩნეული ჩემბერლენის მიერ (ინგლისი) სამეანო მაშის შექმნა და პრაქტიკული გამოყენება. უფრო მოვიანებით ფილიპ გაუსტმა „ნაყოფის გულისცემა“ აღწერა. სამეანო საქმის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შოტლანდიელმა ექიმმა უილიამ სმელლიმ, რომელმაც სცადა მშობიარობის ბიომექანიზმის ახსნა წიგნში „ტრაქტატი მეანობის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ“ (1752 წ.). მე-20 საუკუნიდან დაიწყო ინსტრუმენტული გამოკვლევის მეთოდების გამოყენება. 1958 წ. იან დონალდსის მიერ ულტრაბგერის ჩართვამ ნაყოფის მდგომარეობის შეფასებაში, სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანა ორსულობაზე დაკვირვების პროცესი. რუსეთში, უკვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება ბებიაქალების მომზადებისათვის (პავლე კონდოიდის ხელმძღვანელობით და ძალისხმევით). უფრო მოვიანებით პეტერბურგში დაფუძნდა პირველი სამეანო სტაციონარი და დაიწყო მეანი-ექიმების სწავლება. ექიმის მზარდი როლის გამოკვეთა მეანობაში მე-20 საუკუნიდან დაიწყო. მშობიარობამ სამშობიარო სახლებში გადაინაცვლა. მაგრამ ზოგადი პრაქტიკის ექიმის - გრენლი დიკ-რიდის წიგნმა „ბუნებრივი მშობიარობა“ საფუძველი დაუდო სრულიად ახალ დამოკიდებულებას, მოძრაობას, რომელიც ზემოთ აღნიშნული მიდგომის გადახედვას ითვალისწინებდა. 1993 წელს ექსპერტთა ერთმა ჭავჭავაძემ მოხსენებაში „ცვლილებები სამეანო დახმარებაში“

აღნიშნა, რომ „გართულებულ შემთხვევათა მართვაში საჭიროა გაიზარდოს ექიმი მეან-გინეკოლოგების როლი, ხოლო ნორმალურად მიმდინარე ორსულობის და მშობიარობის მართვაში ექიმის ჩარევა არაა აუცილებელი“. მოხსენება ეფუძნებოდა შემდეგ პრინციპებს:

- ბებია ქალის და ოჯახის ექიმის როლის გაზრდა;
- ქალის უფლება იმშობიაროს თავის სახლში;
- სამეანო დახმარების ხელმისაწვდომობა;
- მაღალი რისკის ჰგუფის ქალთა იდენტიფიცირება;
- ქალის უფლების - აირჩიოს მშობიარობის მეთოდი და ადამიანი, რომელიც უნდა რომ გვერდით ჰყავდეს მშობიარობის დროს - პატივისცემა.

უკანასკნელ წლებში მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის მიმართულების განვითარებამ საშუალება მისცა სამეანო დარგის სპეციალისტებს, კვლევით მიღებული საუკეთესო მტკიცებულებები/ფაქტები გონივრულად და კეთილსინდისიერად გამოიყენონ სამეანო პრაქტიკაში. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაიწყო პერინატალური მეთვალყურეობის 10 ევროპული პრინციპის დანერგვა, რომელიც გულისხმობს:

1. ფიზიოლოგიური ორსულობის წარმართვას მედიკა-მენტების გარეშე;
2. ორსულობის, როგორც ფიზიოლოგიური მოვლენის და არა როგორც დაავადების განხილვას;
3. სათანადო ტექნოლოგიებზე დაყრდნობას (იგულისხმება მეცნიერულად დასაბუთებული და ლოკალურ საჭიროებასთან ადაპტირებული მეთოდები, პროცედურები, ტექნიკა, აღჭურვილობა);
4. რეგიონალიზაციას - დახმარების ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას;
5. მტკიცებებზე დაყრდნობას (შენიშვნა: მტკიცებებზე დაფუძნებული მედიცინა Sackett et all – 2000 მიერ მოწოდებული განმარტებით არის კვლევით მიღებული საუკეთესო მტკიცებულებათა ინტეგრირება კლინიკურ გამოცდილებასა და პაციენტის ღირებულებებთან);

6. მულტიდისციპლინარულ მიდგომას;
7. ინტეგრირებულ მართვას - მიმართულს ერთობლივ-ად: დედის, ახალშობილის და ოჯახის საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ;
8. ოჯახზე ორიენტაციას - ოჯახის ინფორმირება და ჩართვა პროცესში;
9. კულტურულ მემკვიდრეობასთან შესაბამისობას - პატივის მიგებას ტრადიციული პრაქტიკის ყველა მისაღები ელემენტისადმი (მათი უსაფრთხოების და ეფექტურობის დამტკიცების პირობებში);
10. კონფიდენციალურობას - ქალის მონაწილეობას და თანხმობას ზრუნვის შესახებ ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას.

# **1 თავი**

## **ორსულობა**

### **ორსულობის ნიშნები**

ორსულობა განაყოფიერების მომენტიდან იწყება. განაყოფიერებული, იმპლანტირებული კვერცხუჭრედიდან მომზიფებამდე ნაყოფი გადის განვითარების სხვადასხვა ეტაპს, რომელიც ნორმაში გრძელდება 280 დღე, 9 კალენდრარული თვე, 10 სამეანო თვე (სამეანო თვის ხანგრძლივობაა 28 დღე).

### **ორსულობის ნიშნებია:**

#### **1. „საეჭვო“ ნიშნები:**

- დისპეპსიური მოშლილობა (ჭამის მადის და გემოს შეცვლა, გულისრევა, პირღებინება);
- ემოციური ლაბილობა (აგზნებადობა/დეპრესია, ტირილის დაუძლეველი სურვილი, სისუსტე);
- პიგმენტაცია/სტრიები (სახის, სარძევე ჭირკვლების არეოლების და გარეთა სასქესო ორგანოების კანის პიგმენტაცია).

#### **2. „სარწმუნო“ ნიშნები:**

- მენსტრუაციის შეწყვეტა (ამენორეა);
- სარძევე ჭირკვლის ცვლილება (ზომაში გადიდება, გაჭირვება, არეოლების/კერტების პიგმენტაცია);
- საშვილოსნოს ფორმის და კონსისტენციის შეცვლა, ზომაში გაზრდა;
- პიგმენტაცია სახეზე, ყვრიმალების, საფეთქელის არეში;
- გახშირებული შარდვა;
- დაღლილობის შეგრძნება;
- დადებითი ბიოლოგიური სინცები.

#### **3. „უტყუარი“ ნიშნები:**

- ნაყოფის ნაწილების გასინჯვა;
- ნაყოფის მოძრაობის შეგრძნება (პალპაციით);
- ნაყოფის გულისცემის მოსმენა (აუსკულტაციით, კარდიო/ფეტომონიტორით).

## ორსულობის კლინიკური გამოვლინება

**1. მუცელის გადიდება** - საშვილოსნო სიმფიზის ზემოთ შეიძლება გაისინჯოს 12 კვირიდან, მე-20 კვირაზე მისი ფუძე ჭიპს უახლოვდება.

**2. საშვილოსნოს ყელის/ტანის ცვლილება** - საშვილოსნოს ყელი 6-8 კვირიდან ციანობურია (ჩედვეიკის ნიშანი), ზეყელის არეში დარბილებულია (ჰორვიგ-ჰეგარის ნიშანი); საშვილოსნო გაზრდილია ზომაში, მისი ერთ-ერთი კუთხე გამობურცულია (ჰისკაჩეკის ნიშანი), წინა ზედა-პირის შუა ხაზზე შეინიშნება ბიბილოსებრი შემაღლება (გენტერის ნიშანი).

ცხრილი 1. საშვილოსნოს ფუძის სიმაღლე (ბოქვენიდან)  
ორსულობის ვადის მიხედვით

ვადა (სამეანო თვე)	მე-4	მე-5	მე-6	მე-7	მე-8	მე-9	მე-10
ფუძის სიმაღლე (სმ)	6-7	12-13	20-24	24-28	28-30	32-34	28-32

**3. ჰორიონალური სინქეზი** - დიაგნოსტიკა დაფუძნებულია ქალის შარდისა და სისხლის პლაზმაში ქორიონალური გონადოტროპინის განსაზღვრაზე. არსებობს სხვადასხვა სახის იმუნოლოგიური და ბიოლოგიური მეთოდი. ორსულობის ტესტმა, რომელიც ამავე პრინციპს ეფუძნება, შეიძლება პოზიციური პასუხი მოგვცეს განაყოფიერებიდან უკვე 8-10 დღეში. (შენიშვნა: სისხლის შრატის იმუნოფერმენტული მეთოდით გამოკვლევისას ისაზღვრება ქორიონული გონადოტროპინის ნ-სუბერთეული და შარდის ანალიზთან შედარებით ეს ტესტი უფრო მგრძნობიარეა).

ცხრილი 2. ქორიონალური გონადოტროპინის გამოყოფა  
შარდით, ორსულობის სხვადასხვა ვადაზე (ტრიმესტრში).

ორსულობის ვადა (კვირა)	5	6	7	8	9	10	11	12
ქ/გ (ME/ლ)	2500	10000	15000	20000	66000	80000	75000	28000

## **ორსულობის დადასტურება**

1. ნაყოფის მოძრაობის შეგრძნება - 16-20 კვირის ვადაზე ქალი შეიგრძნობს ნაყოფის მოძრაობას.
2. ნაყოფის გულის ტონების მოსმენა - 12-14 კვირი-დან ინსტრუმენტული მეთოდების (ფეტომონიტორი, ფონოკარდიოგრაფი) გამოყენებით, ხოლო 17-19 კვირიდან სტეტოსკოპით შეიძლება ნაყოფის გულის-ცემის მოსმენა, რომელიც ვარირებს 120-140 დარტყმა/წთ-ში.
3. ულტრაბგერა - ვაგინალური ულტრასონოგრაფიით უკვე მე-3-5 კვირიდან, ხოლო აბდომინალურით - მე-6 კვირიდან შეინიშნება მცირე, თეთრი გესტაციური რგოლი; გესტაციური რგოლის შიგნით ემბრიონის ვიზუალიზაცია შესაძლებელია მე-7-8 კვირიდან. ნაყოფის გულისცემა ასევე მე-7-8 კვირიდან მოისმინება.

## **ორსულობის ვადის განსაზღვრა**

ორსულობის ხანგრძლივობა, როგორც უკვე აღინიშნა, შეადგეს 280 დღეს, ვადის განსაზღვრა ემყარება იმ ფაქტს, რომ ქალს აქვს 28-დღიანი მენსტრუალური ციკლი, ოვულაციით მე-14-15 დღეზე. თუ ციკლი არაა 28-დღიანი, ორსულობის ხანგრძლივობა იზრდება (ან მცირდება) დაახლოებით ერთი დღით მენსტრუალური ციკლის ყოველ დღეზე), რომელიც 28 დღეზე მეტია ან ნაკლები. მაგ: 35-დღიანი ციკლის დროს (21-ე დღეზე ოვულაციით) მშობიარობის დრო 1 კვირით გვიან გადაიწევს. არსებობს ორსულობის ვადის დადგენის რამოდენიმე წესი:

- ნაგელეს ფორმულა - უკანასკნელი მენსტრუაციის პირველ დღეს +280 დღე (10 სამეანო ან 9 კალენდარული თვე და 7 დღე).
- ჟორდანიას ფორმულა -  $X=L+C$  (  $X$  - არის საძიებელი ვადა,  $L$  - მენსტრუაციის გაზომილი ნაყოფის სიგრძე,  $C$  - კეფა-შუბლის ზომა)
- ნაყოფის პირველი მოძრაობის დღეს + 5 სამეანო თვე (პირველმშობიარეში) და 5,5 თვე - განმეორებით მშობიარეში).
- უკანასკნელი მენსტრუაციის დღეს ვაკლებთ 3 კალენდარულ თვეს და ვამატებთ 7 დღეს.
- ვადის დადგენა ულტრაბგერით.

## **ორსულობის ტრიმესტრები**

პრაქტიკაში მიღებულია ორსულობის პერიოდის დაყოფა ტრიმესტრებად:

- პირველი ტრიმესტრი - გრძელდება 12-13 კვირამდე;
- მეორე ტრიმესტრი - 14-27 კვირამდე;
- მესამე ტრიმესტრი - 28-40 კვირამდე.

## **პირველი ტრიმესტრი**

### **1. დამახასიათებელი ნიშნები და სიმპტომებია:**

- გულისრევა/პირღებინება;
- დაღლილობა, საერთო სისუსტე;
- სარძევე ჭირკვლების გაჭირჭვება;
- ხშირი შარდვა;
- მუცლის გაზრდა (მცირედ).

### **2. სისხლდენა:**

- სისხლდენა I ტრიმესტრში აღენიშნებათ ქალების 20-25%-ს, მათგან ნახევარს შეიძლება განუვითარდეთ სპონტანური აბორტი;
- სისხლდენის შერწყმა მიომეტრიუმის შეკუმშვებთან საშიში ნიშანია.

## **მეორე ტრიმესტრი**

### **1. დამახასიათებელი ნიშნები და სიმპტომებია:**

- საერთო მდგომარეობის და თვითგრძნობის გაუმჯობესება;
- ტკივილი, რომელიც საშვილოსნოს ზრდით არის განპირობებული და იოგების/მენტის სხვა სტრუქტურების დაჭიმვას უკავშირდება. იგი გაივლის 22 კვირის შემდეგ;
- შეკუმშვები - მეორე ტრიმესტრში შეიძლება წარმოიშვას არარეგულარული, უმტკივნეულო შეკუმშვები მუცლის პალპაციის დროს.

### **2. სისხლდენა - შეიძლება გამოწვეული იყოს პლაცენტის დაბალი მიმაგრებით.**

### **3. ნაყოფი - 28 კვირისათვის ნაყოფის მასა 1000,0 მდეა. 20 კვირიდან პირველი, ხოლო 18 კვირიდან განმეორებითი ორსული შეიგრძნობს ნაყოფის მოძრაობას.**

## **4. გართულებები მეორე ტრიმესტრში:**

- ისთმიკო-ცერვიკალური უკმარისობა, რამაც შეიძლება ნაადრევი მშობიარობა გამოიწვიოს;
- სანაყოფებულების ნაადრევი დაღვრა, რომელიც შესაძლოა დედის/ნაყოფის ინფიცირების მიზები გახდეს.
- ნაადრევი სამშობიარო მოქმედების დაწყება. მეორე ტრიმესტრის ბოლოს ნაყოფის სიცოცხლის შანსი 70-80%-ია. სიკვდილის ძირითადი მიზები სუნთქვის უკმარისობაა ფილტვების უმნიფრობის გამო.

## **მესამე ტრიმესტრი**

### **1. დამახასიათებელი სიმპტომები და ნიშნები:**

- ე.წ. „ბრექსტონ ჰიქსის“ შეკუმშვები;
- ტკივილი წელის არეში და ქვედა კიდურებში (საშვილოსნო ავსებს მენტის ღრუს და აწვება ნერვებს და კუნთებს);
- თვითგრძნობის გაუმჯობესება - ნაყოფის თავი დაეშვება მენტის ღრუში, დიაფრაგმის დაწევის გამო უმჯობესდება სუნთქვა.

### **2. ნაყოფი** - მასა ტრიმესტრის დასასრულისათვის აღნევს საშუალოდ 3300,0-მდე (კვირაში მასის მატება დაახლოებით 224 გ). ამ პერიოდში ნაყოფის აქტივობა შემცირებულია ბომის გაზრდის და საშვილოსნოში თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის გამო.

### **3. სისხლდენა:**

- ლორწოვანი საცობის გამოდევნა - მოსალოდნელი მშობიარობის წინამორბედი ნიშანია;
- ძლიერი სისხლდენა - სერიოზული პათოლოგიაა (პლაცენტის წინამდებარეობის ან აცლის შემთხვევა).

### **4. სანაყოფებულების ნაადრევი დაღვრა** (უეცარი ან თანდათან/წელა) - იგი შეიძლება დაიღვაროს: სამშობიარო მოქმედების დაწყებამდე, დროულად (გახსნის პერიოდის ბოლოს), ან დაგვიანებით (გამოქვების პერიოდის დას-რულებისას, როდესაც ნაყოფი იბადება ე.წ. „პერანგით“).

**5. სამშობიარო მოქმედების დაწყება** - მოვლითი ხა-სიათის, მზარდი სამშობიარო ტკიფილები, რომლის შედეგად საშვილოსნოს ყელი გადასწორდება და იხსნება.

ცხრილი 3. განსხვავებები სამშობიარო და „ბრექსტონ-ჰიქსის“ შეკუმშვებს შორის

№	პარამეტრები	სამშობიარო შეკუმშვები	მრექსტონ-ჰიქსის კონტრაქტი
1	ინტერვალები	რეგულარული	არარეგულარული
2	სიხშირე	თანდათან მზარდი	ცვალებადი, არათანმიმდევრული
3	ინტენსივობა	თანდათან მზარდი	ვარიაბელური
4	ლოკალიზაცია	პირველად ზურგის არეში	მუცლის არეში
5	დამამდიმებელი ან შემამსუბუქებელი ფაქტორები	ინტენსიური ხდება სიარულის დროს	სიარულის დროს ზოგჯერ გაივლის
6	სისხლიანი ჩამონაშალი	ჩვეულებრივ, წინ უსწრებს	არ აღინიშნება შეკუმშვის დაწყების წინ
7	მემბრანების გახევა	ზოგჯერ წინ უსწრებს	არ სდევს თან

### ანტენატალური მეთვალყურეობა და მოვლა

ანტენატალური მეთვალყურეობა გულისხმობს დედისა და ნაყოფის მდგომარეობის კლინიკურ შეფასებას, მათი ინდივიდუალური მოთხოვნილებების შეცნობას და გათვალისწინებას. იგი პირობითად სამ ძირითად კომპონენტად შეიძლება დავყოთ:

- ქალის და ნაყოფის მდგომარეობის შეფასება;
- ჭანმრთელობის ხელშეწყობა;
- მომსახურებით უზრუნველყოფა.

**მდგომარეობის შეფასება** ხდება ერთობლივად: ანამნეზის, ფიზიკური გასინჯვის და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების ანალიზით.

**ჰანმრთელობის ხელშეწყობა** გულისხმობს სოციალურ მხარდაჭერას, რეკომენდაციებს, საინფორმაციო მასალა-ით უზრუნველყოფას, ცხოვრების ჰანსაღი წესის პროპა-განდას არა მარტო ორსული ქალის, არამედ მისი ოჯახის წევრების ჩართვით ე.წ. მშობელთა სკოლაში.

**მომსახურებით უზრუნველყოფა** - თითოეული ანტენა-ტალური ვიზიტის ფარგლებში გაწეული სამედიცინო დახმარების მინიმალური მოცულობის განსაზღვრას, მშობიარობის ინდივიდუალური გეგმის შედგენას ქალის სურვილის გათვალისწინებით, დახმარების ხელმისაწვ-დომობას, საჭიროებისამებრ ტრანსპორტირების/რეფერ-ალის შესაძლებლობას, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მხარდაჭერას და ა.შ.

**ანტენატალური მეთვალყურეობა საქართველოში 4 სავალდებულო ვიზიტით შემოიფარგლება:**

- პირველი ვიზიტი სრულდება 12-13 კვირამდე;
- მეორე ვიზიტი - მე-20-22 კვირაზე;
- მესამე ვიზიტი - 30-32-ე კვირაზე;
- მეოთხე ვიზიტი - 36-38 კვირაზე.

### **კომუნიკაცია და კონსულტირება**

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ორსულთან კომუნიკა-ციას, რათა მივიღოთ საჭირო ინფორმაცია (ანამნეზის სახით) მისი ჰანმრთელობის მდგომარეობის შესაფასე-ბლად და ინფორმირებისათვის.

#### **1. კომუნიკაციის სქემა/პროცესი:**

- მიმწოდებელი;
- ინფორმაცია;
- მიწოდების არხი;
- მიმღები;
- უკუკავშირი.

#### **2. კომუნიკაციის გზები:**

- სიტყვიერი (ვერბალური);
- არავერბალური (ჟესტები);
- აუდიოვიზუალური (რადიო, ტელევიზია, ვიდეო);

- წერითი (ჟურნალი, წიგნი);
- სურათებით (პლაკატებით, ბუკლეტები).

**შენიშვნა:** მათი გამოყენება (ანტენატალური მეთვალყურეობის პროცესში) შეიძლება როგორც ცალკე, ისე კომბინირებულად.

**ვერბალური** კომუნიკაციის დროს მეტყველება უნდა იყოს გასაგები (შეესაბამებოდეს ინფორმაციის შინაარსს), რით-მული, ცოცხალი, პაუზებით - რათა პაციენტმა შეძლოს ინფორმაციის აღქმა.

### 3. კომუნიკაციის ჩვევებია:

- აქტიური მოსმენა;
- შეკამება და პერეფრაზირება;
- თანაგრძნობის, თანამონაწილეობის, კონფიდენციალობის ატმოსფეროს შექმნა;
- იმ კითხვების შერჩევა, რომელზედაც პაციენტი პასუხის გაცემას შეძლებს.

### 4. არავერბალური კომუნიკაციის ძირითადი ნიშნები:

- პოზა – თავისუფალი;
- დისტანცია - მეტი 50 სმ-ზე და ნაკლები 2 მ-ზე;
- მიმიკა - ყურადღებიანი, მომღიმარი;
- ჟესტი - ზომიერი ჟესტიკულაცია, ხელები თავისუფალი.
- მზერა - ვიზუალური პირდაპირი კონტაქტი და არა დაუინებული მზერა.

**5. კონსულტირება** - არის ინტერპერსონალური საკომუნიკაციო მეთოდი, რომელშიც ორი პიროვნება მონაწილეობს: ერთი - დგას პრობლემის წინაშე და სურს დახმარება, მეორეს - შეუძლია მისი დახმარება და მხარდაჭერა.

### კონსულტირების ელემენტებია:

- კომუნიკაცია/ურთიერთობის დამყარება, ნდობის მოპოვება;
- პაციენტის სურვილების დადგენა;
- ინფორმაციის გაცემა ქალის/პარტნიორისგან და მათი დახმარება გადაწყვეტილების მიღებაში;
- შეკამება/დასკვნა.

## **კონსულტირების სახეებია:**

- ინდივიდუალური კონსულტირება;
- წყვილის კონსულტირება;
- ჯგუფური კონსულტირება (მსგავსი მოთხოვნების ჯგუფებთან ერთობლივი მუშაობა).

## **კონსულტირების ნაბიჯებია:**

- მიღება;
- გამოკითხვა;
- გადაწყვეტილება;
- ქმედება.

კონსულტირება შეიძლება იყოს ორიენტირებული ოჯახის მოთხოვნებზე ან ქალის მოთხოვნებზე.

ცხრილი 4.

ოჯახის მოთხოვნებზე ორიენტირებული კონსულტირება	ქალის მოთხოვნებზე ორიენტირებული კონსულტირება
- პრიორიტეტებს განსაზღვრავს წყვილი და არა მედმუშავი	- მედ. მუშავი არ განსჭის და არ უარყოფს ქალის სიტყვებს
- მედ. მუშავი აწოდებს შესაძლო ვარიანტებს და არა მხარე გადაწყვეტილებებს	- გამოიყენება მარტივი, გასაგები ენა
- ადგილი აქვს დიალოგს და არა ცალმხრივ ლექციას	- მედ. მუშავი იმსახურებს ნდობას იცავს რა კონფიდენციალობას
- ხდება პატივისცემის დემონსტრირება და არა ქმედების შეფასება	- იგი ქალს ეხმარება მოქმედების გეგმის შემუშავებაში ინდივიდუალური სიტუაციიდან გამომდინარე
- გამოიყენება მარტივი, გასაგები ენა	

## **კონსულტირების მეთოდი „გამიგე“:**

- გ - გულისხმიერად შეხვდი პაციენტს;
- ა - ანამნეზი მიზანდასახულად გამოკითხე;
- მ - მიაწოდე ინფორმაცია პრობლემის შესახებ;
- ი - ინფორმირებულ არჩევანში დაეხმარე;
- გ - გაარკვიე არჩევანის დეტალებში;
- ე - ერთად შეთანხმდით მომდევნო ვიზიტე.

## ქალის კანმრთელობის მდგომარეობის შეფასება

შეფასება ხდება:

- ანამნეზის გულდასმით შეგროვებით;
- ფიზიკური გასინჯვით;
- ლაბორატორიული გამოკვლევით.

### 1. ანამნეზი

სტანდარტული გამოკითხვა შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობს:

- დემოგრაფიული ინფორმაცია (გვარი, სახელი, ასაკი, პროფესია);
- მშობიარობათა რაოდენობა, ინფორმაცია წინა ორსულობისა და მშობიარობების შესახებ;
- გინეკოლოგიური ანამნეზი (მენსტრუაციის რეგულარობა/თავისებურებები, გადატანილი გინეკოლოგიური დაავადებები/ჩარევები, კონტრაცეპციის მეთოდი, რომელსაც ქალი ორსულობამდე იყენებდა);
- უკანასკნელი მენსტრუაციის თარიღი, ორსულობის სიმპტომები/ჩივილები;
- ექსტრაგენიტალური პათოლოგია/ჩატარებული მკურნალობა, გადატანილი ოპერაციები და ანესთეზია (სახეები);
- სამკურნალონამლო საშუალებები, რომელსაც ქალი იყენებდა პროფესიალურის (ფოლის მჟავა, ვიტამინები, იოდი, რკინა, კალციუმი და ა.შ.);
- ალერგიული ანამნეზი (გარემო, მედიკამენტები);
- ოჭახური ანამნეზი (მემკვიდრეობაში დიაბეტის, ტუბერკულოზის, ჰიპერტონიის, სარძევე ჰირკვლისა და საკვერცხების კიბო, ფსიქიკური და ნერვული პათოლოგიები);
- სოციალური ანამნეზი (ოჭახური მდგომარეობა, თამბაქოს, ალკოჰოლის, ნარკოტიკების მოხმარება და სხვ.);
- ორსულობის „სასურველობა“.

### 2. ტიპური გასინჯვის სქემა:

- სიმაღლის, წონის, სასიცოცხლო ნიშნების (PI, AD, t<sup>o</sup>) შეფასება;
- კანის, ჰირის ღრუს, კბილების/ღრძილების დათვალიერება;

- ფარისებრი ჰირკვლის პალპაცია;
- გულის ტონების და ფილტვების აუსკულტაცია;
- სარძევე ჰირკვლების დათვალიერება/პალპაცია;
- მუცლის პალპაცია;
- შეშუპებების გამოვლენა (თითები, წვივი, ტერფი);
- საშვილოსნოს ფუძის სიმაღლის გაზომვა;
- ნაყოფის მდებარეობის დადგენა (პოზიცია, სახე);
- ნაყოფის წინამდებარეობის და მისი მენტან დამოკიდებულების დადგენა;
- მენტის გაზომვა;
- ნაყოფის გულისცემის მოსმენა;
- ვაგინალური გასინჯვა;
- რისკის ფაქტორების გამოვლენა;
- ორსულობის მიმდინარეობასა და მშობიარობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქალის სიმაღლეს და სხეულის მასას. ანტენატალურ პერიოდში ქალის წონის კონტროლისათვის საჭიროა ორსულობამდე სხეულის მასის ინდექსის (სმი) გათვალისწინება:

$$\text{მასის ინდექსი} = \frac{\text{წონა (კგ)}}{\text{სიმაღლე } \text{მ}^2}$$

**ცხრილი 5. რეკომენდებული მასის ნამატი ორსულობის დროს (ორსულობამდე სხეულის მასის ინდექსს+)**

№	დედა	მასის ნამატი	
		სულ	ტემპი (კგ/4კვირაში)
1	ნორმალური მასა (სმი 19,8-26,0)	11,4-15,9	1,8
2	მასის დეფიციტი (სმი < 19,8)	12,7-18,2	2,3
3	ზედმეტი მასა (სმი=26,1-29,0)	6,8-11,4	1,2
4	სიმსუქნე (>29,0)	6,8	0,9
5	ტყუპით ორსულობა	15,9-20,4	2,7

- ფარისებრი და სარძევე ჰირკვლების შეფასება ასევე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია პირველადი გასინჯვის, ვინაიდან ფარისებრი ჰირკვლის ფუნქციის დარღვევა სერიოზულ ზეგავლენას ახდენს დედისა და ნაყოფის მდგომარეობაზე. სარძევე ჰირკვლების გამოკვლევის არსი მდგომარეობს მათში გამკვრივებების გამოვლენაში. მართალია სარძევე ჰირკვლის კიბო ორსულობაში იშვიათია, მაგრამ პროგნოზულად - უფრო ცუდი;
- პულსის აჩქარება და ტ-ის მომატება შეიძლება იყოს ინფექციის ნიშანი, ამიტომ დინამიკაში დაკვირვებას და დამატებით გამოკვლევებს საჭიროებს. მიღებულია ორსულებში წნევის გაზომვა ნახევრადმწოლარე ( $45^{\circ}$ ) მდგომარეობაში. პიპერტენზია ხშირად პრეეკლამპსიის ნიშანია;
- გულის ტონების მოსმენისას: მკერდის მარცხენა კიდესთან სისტოლური შუილი განიხილება როგორც ნორმის ერთ-ერთი ვარიანტი;
- შეშუპება: დღის განმავლობაში ტერფის და კოჭის შეშუპება (განსაკუთრებით საღამოს) შეიძლება ნორმად ჩაითვალოს. პათოლოგიაა სახის, მტევნების, მუცლის და კოჭ-წვივის სახსრების გენერალიზებული შეშუპება;
- მუცლის პალპაციით ხდება ნაყოფის მდებარეობის, ნაწევართგანლაგების, პოზიციის, სახის, წინამდებარე ნაწილის დადგენა, იქმნება წარმოდგენა ნაყოფის ზომაზე, წინამდებარე ნაწილის დამოკიდებულებაზე მენჯის შესავალთან და ა.შ. ნორმაში ნაყოფის სხეული საშვილოსნოს ღრუში მოხრილია, თავი დახრილია გულმკერდისაკენ, ხოლო ფეხები მოხრილია მენჯ-ბარძაყის და მუხლის სახსრებში და მიბჯენილია მუცელზე. ხელები გულმკერდზეა გადაჯვარედინებული. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ნაყოფის მდებარეობა არის **სიგრძივი** (ნაყოფის და საშვილოსნოს სიგრძივი ღრუძები ემთხვევა ერთმანეთს). თუ ეს ღერძები მართი კუთხით გადაკვეთენ ერთმანეთს, გარდიგარდმო მდებარეობაა, ხოლო თუ გადაკვეთისას იქმნება მახვილი კუთხე - ინიბი.

ნაყოფის ბურგის დამოკიდებულებით საშვილოსნოს გვერდებისადმი ისაზღვრება პოზიცია. ნაყოფის სიგრძივი მდებარეობის შემთხვევაში I პოზიცია არის, როდესაც ბურგი მიქცეულია მარცხნივ, ხოლო II პოზიციის დროს ბურგი მიქცეულია მარჯვნივ. გარდიგარდმო მდებარეობისას პოზიცია ისაზღვრება თავის მდებარეობის მიხედვით.

ნაყოფის **სახე** ისაზღვრება მისი ბურგის დამოკიდებულებით საშვილოსნოს წინა ან უკანა კედლისადმი. თუ ბურგი იმყოფება წინ - წინა სახეა, თუ უკან - უკანა სახე.

ნაყოფის **წინამდებარეობა** არის მსხვილი ნაწილის (თავი ან ჭდომი) მდებარეობა მენტის შესავალთან. ნორმაში წინამდებარეა ნაყოფის თავი.

**ნაყოფის თავის ჩადგმა** - ნიშნავს ისრისებრი ნაკერის (თხემის ძვლების ერთმანეთთან შეერთების ხაზი) დამოკიდებულებას სიმფიზის ან კონცხის (გავის ძვლის მე-5 და კუდუსნის | მალის შეერთების ადგილზე მენტის შიგნით წარმოქმნილი ძვლოვანი მორჩი) მიმართ.

ნაყოფის მდებარეობის შესაფასებლად გარეგანი გასინჯვისას გამოიყენება 4 წესი (ე.წ. ლეოპოლდის წესები):

**I წესი:** ორივე ხელისგული თავსდება საშვილოსნოს ფუძესთან (ისაზღვრება საშვილოსნოს ფუძის სიმაღლე და ნაყოფის ის ნაწილი, რომელიც ფუძეშია);

**II წესი:** ორივე ხელი საშვილოსნოს ფუძიდან გადააქვთ საშვილოსნოს გვერდებზე (ისაზღვრება ნაყოფის პოზიცია და სახე);

**III წესი:** მარჯვენა ხელი თავსდება სიმფიზის ზემოთ ისე, რომ დიდი თითო მოთავსდეს მარჯვნივ, ხოლო დანარჩენი 4 თითო - მარცხნივ (ხდება ნაყოფის წინამდებარე ნაწილის და მენტის შესავალთან მისი დამოკიდებულების დადგენა);

**IV წესი:** მესამე წესის დამატებაა. გამომკვლევი დგას მარჯვნივ, ორსულის ფეხებისაკენ პირისახით, ორივე ხელის გული მოთავსებულია მუცლის ქვედა ნაწილში მარჯვნივ და მარცხნივ ისე, რომ თითების ბოლოები უახლოვდება

სიმფიზს (ხდება წინამდებარე ნაწილის მდებარეობის და-ზუსტება აგრეთვე ნაყოფის თავის ქალას ძვლების სიმ-კვრივის და საორიენტაციო ზომების განსაზღვრა);

- საშვილოსნოს ფუძის სიმაღლის გაზომვის შედეგები/ პარამეტრები ორსულობის ვადის მიხედვით მოცემუ-ლია ცხრილში (იხ. ცხრილი 1);
- მენჯის შეფასება ხდება მისი ზომებით.

#### ცხრილი 6. მენჯის ზომები (ზორმა)

№	მანძილი	ზომა (სმ)
1	Dsp - თეძოს ზედა წვეტებს შორის	25-26
2	Dcr - თეძოს ფრთების ყველაზე დაშორებულ წერტილებს შორის	28-29
3	Dtr - ბარძაყის ძვლების დიდ ციბრუტებს შორის	30-31
4	Cex - გარეთა კონიუგატა (სიმფიზის ზედა კიდის შუა წერტილიდან გავა-კულებუნის ჩაღრმავებამდე)	20-21
5	Cd - დიაგონალური კონიუგატა (სიმფიზის ქვედა კიდიდან კონცხის ყველაზე გამოწეულ წერტილამდე (ისაზღვრება p.v.)	12,5-13

- მცირე მენჯის შესავლის პირდაპირი ზომა ანუ ნამდვი-ლი კონიუგატა ისაზღვრება შემდეგნაირად: გარეგან კონიუგატას აკლდება 9 სმ ან დიაგონალურ კონიუგა-ტას გამოაკლდება 2-1,5 სმ (სოლოვიოვის ინდექსის გათვალისწინებით);
- სოლოვიოვის ინდექსი (S) - არის სხივ-მაჯის გარშემოწერილობა ( $N=14$  სმ);
- ნაყოფის გულისცემის მოსმენა (აუსკულტაცია - სტე-ტოსკოპით შესაძლოა ორსულობის მეორე ნახევრი-დან, ინსტრუმენტული გამოკვლევის მე-თოდებით (ფეტომონიტორი, ულტრაბგერა) მისი აღწერა უფრო ადრე არის შესაძლებელი. ნორმაში ნაყოფის გულის-ცემა არის რითმული, 130-140 დარტყმა/წუთში;
- ვაგინალური (შინაგანი) გასინჯვა - ხდება მხოლოდ სპეციალური ჩვენებით. გასინჯვისას: ქალი წევს

გინეკოლოგიურ მაგიდაზე, გადაშლილი ფეხებით, მარცხენა ხელით გამომკვლევი პირი გადაშლის სასქესო ბაგეებს, ხოლო მარჯვენა ხელის II და III თითები შეაქვს საშოში მანამ, ვიდრე არ მოახდენს საშვილოსნოს ყელის გასინჯვას. ორსულობის ბოლოს ამ გამოკვლევით შესაძლებელია საშვილოსნოს ყელის სიგრძის და კონსისტენციის შესახებ ინფორმაციის მიღება.

#### **ცხრილი 7. საშვილოსნოს ყელის სიმწიფის შეფასების კრიტერიუმები (ბიშოპის შკალა)**

ნიშანი	მანძილი ზომა (სმ)			
	0	1	2	3
საშვილოსნოს ყელის კონსისტენცია	მკვრივი	დაქვეითებული სიმკვრივის	რბილი	-
არხის სიგრძე (სმ)	>2	2-1	1-0,5	<0,5
საშვილოსნოს ყელის მდებარეობა (საშვილოსნოს ღერძის მიმართ)	უკან	შუაში	წინ	-
საშვილოსნოს ყელის გახსნა (სმ)	0	1-2	3-4	5 და მეტი
ნაყოფის წინამდებარებულის მდებარეობა (სმ-ში ინტერსპენ-ნალური ხაზის ზემოთ)	3	2	1 ან 0	ქვემოთ

ვაგინალური გასინჯვა სარკეებში (ე.წ. კუსკოს სარკე) ხდება შესაბამისი ზომის შემთბარი, საცხით დაფარული სარკით შემდეგი წესით:

- მარცხენა ხელით გადასწევენ სასქესო ბაგეებს, სარკე შეაქვთ მარჯვენა ხელით, ვერტიკალურ მდგომარეობაში, რომელიც შემდგომ ნაზად გადააქვთ ჰორიზონტალურ სიბრტყეში;
- სარკის სრული შეტანის შემდეგ მის ტოტებს შლიან, ხოლო ხრახნს უჭერენ;

- პირდაპირი განათებით ხდება გაშიშვლებული საშვილოსნოს ყელის დათვალიერება/ნაცხის აღება;
- ფრთხილად იხურება სარკე და კვლავ ვერტიკალურ მდგომარეობაში გამოიტანება საშოდან;

**რისკის შეფასება** - ანამნეზით და გასინჯვით შესაძლებელია მივიღოთ ინფორმაცია და გამოვყოთ რისკ-ფაქტორები, რომელიც განსაკუთრებულ მიღვომას მოითხოვს. ეს ფაქტორებია:

- დამძიმებული სამეანო ანამნეზი;
- დამძიმებული მემკვიდრული და სომატური ანამნეზი;
- განსაკუთრებით მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები;
- პირველი მშობიარობა ან პირიქით, მრავალი მშობიარობა ანამნეზში;
- ძალიან ახალგაზრდა ასაკი ( $<15$  წელზე);
- ხანშიშესული პირველი მშობიარე (35 წ. >);
- ძალიან დაბალი სიმაღლე;
- მრავალნაყოფიანი ორსულობა;
- არასასურველი ორსულობა;
- ნაყოფის ზომის და გესტაციური ასაკის შეუსაბამობა;
- ნაყოფის არასწორი მდებარეობა/წინამდებარეობა;
- სიმსუქნე, მავნე ჩვევები;

### 3. ლაბორატორიული გამოკვლევები

ძირითადი გამოკვლევების სქემა ანტენატალურ პერიოდში:

- სისხლის ჰგუფი და რეზუს-ფაქტორი;
- ჰემოგლობინის და ჰემატოკრიტის განსაზღვრა;
- სიფილისის და გონორეის სკრინინგი;
- შარდის ანალიზი;
- აივ-ტესტი;
- ულტრასონოგრაფია (ნაყოფის ანომალიების დასადგენად გესტაციის 18-20 კვირაზე და ამნიონური სითხის მოცულობის შესაფასებლად 30-36 კვირაზე);
- დამატებითი გამოკვლევები (საჭიროებისამებრ: ერთსაათიანი ცდა გლუკოზის ტოლერანტობაზე შესაბამისი ჩვენებით, შარდის და ნაცხის ბაქტერიოლოგიური შესწავლა, ა-ფეტოპროტეინი, ანტირეზუს ანტისხეულები, პაპ-ტესტი და ა.შ.).

## ნაყოფის ანტენატალური შეფასება

ნაყოფის ანტენატალური შეფასება აუსკულტაციის გარდა მოიცავს შემდეგს:

- ნაყოფის სავარაუდო მასის დადგენა;
- სანაყოფე წყლების მოცულობის განსაზღვრა;
- ნაყოფის მოძრაობითი აქტივობის შეფასება;
- ნაყოფის განვითარება და წინამდებარე ნაწილის მდებარეობა (ორსულობის უკანასკნელ თვეში);
- ნაყოფის ბიოფიზიკური პროფილი.

- 1. ნაყოფის სავარაუდო მასის დადგენა** - ამ მიზნით სხვადასხვა ფორმულა გამოიყენება, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით - მუცლის გარშემოწერილობას (ჭიპის დონეზე) ამრავლებენ საშვილოსნოს ფუძის სიმაღლეზე.

ცხრილი 8. ნაყოფის ზომები ორსულობის სხვადასხვა ვადაზე.

ვადა (კვირა)	12	16	20	24	28	32	36	40
სიმაღლე (სმ)	8-9	16	25-26	30	35	40	45	50
წონა (გ)	20-25	120	280-300	600-680	1000-1200	1500-1600	2400-2500	3500

- 2. ნაყოფის მოძრაობათა დათვლა** - დათვლის ჩატარება შეიძლება სხვადასხვა წესით. ჩვეულებრივ, პაციენტს თხოვენ საკვების მიღებიდან 30 წთ-ის შემდეგ მარცხენა გვერდზე დაწვეს, მოდუნდეს და ყურადღება ნაყოფის მოძრაობაზე გადაიტანოს. მან უნდა დაინიშნოს ტესტირების დაწყების დრო და ჩაინიშნოს ნაყოფის მოძრაობის თუ ფეხის დარტყმის თითოეული მომენტი. ასეთ პირობებში ჭანმრთელი ნაყოფი უნდა გაინძრეს 3-5-ჯერ/სთ-ში. თუ 12 სთ-იანი დროის შუალედში დედამ ვერ შენიშნა ნაყოფის მინიმუმ 10 მოძრაობა მაინც - ეს საშიშ სიგნალს წარმოადგენს.

### 3. ბიოთეზიკური პროფილი - ისაზღვრება 5 პარამეტრის მიხედვით:

- სუნთქვითი მოძრაობის სიხშირე;
- ნაყოფის მოძრაობა;
- კუნთთა ტონუსი;
- გულისცემის სიხშირე (ნონ-სტრეს ტესტი);
- სანაყოფო წყლის მოცულობა.

ცხრილი 9. ბიოთეზიკური პროფილის შეფასება

№	პარამეტრები	დაკვირვების ხანგრძლივობა	ნორმა (2 ბალი)	პათოლოგია (0 ბალი)
1	სუნთქვითი მოძრაობის სიხშირე	30 წთ	1 მოძრაობაზე მეტი 30 წამის ხანგრძლივობით	არ არსებობა ან 30 წმ-ზე ნაკლები ხანგრძლივობის
2	ნაყოფის მოძრაობა	30 წთ	სხეულის ან კიდურების 3-ზე მეტი მოძრაობა	3 მოძრაობაზე ნაკლები
3	კუნთთა ტონუსი	30 წთ	სხეულის ან კიდურების და თითების 1-ზე მეტი განზიდვა/ მოხრა	სხეულის ნელი გამლა/ მოხრა
4	გულისცემის რეაქტიულობა	30 წთ	2 აქცელერაციაზე მეტი – მოძრაობის პასუხად	2 აქცელერაციაზე ნაკლები, ან 1 აქცელერაცია + დეცელერაცია
5	სანაყოფო წყლების მოცულობა	-	1 "ჭიბებე" მეტი ზომით 1*1სმ	ან არაა "ჭიბე" ან არის – ნაკლები 1*1 სმ-ზე ზომის

თითოეული კომპონენტი ფასდება მაქსიმუმ 2 ქულით. შეფასების ჰამური მაჩვენებელია - 8-10 ქულა, რაც ნიშნავს „დამაკმაყოფილებელ“ მდგომარეობას. 8 ქულაზე ნაკლები ნიშნავს დამატებითი გამოკვლევების ჩატარების და მშობიარობის დაჩქარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხის განხილვას.

მეთოდის შრომატევადობისა და ქულების ინტერპრეტირების სირთულის გამო ალტერნატივის სახით გამოიყენება ე.ნ. „შემოკლებული/მოდიფიცირებული“ ბიოთეზიკური პროფილი, რომელიც წარმოადგენს ნონ-სტრესის ტესტისა და მხოლოდ ამნიონური სითხის შეფასების კომბინაციას (ნონ-სტრეს ტესტი ემყარება ნაყოფის გულისცემის აქცელერაციის გამოვლენას ნაყოფის მოძრაობის შეგრძნების დროს).

#### **4. სანაყოფე წყლების მოცულობა საშვილოსნოში - ასახავს ნაყოფის მდგომარეობას.**

ულტრაბგერითი გამოკვლევისას სანაყოფე სითხის და-გროვება ე.ნ. „წყლის ჰიბებში“ ჩანს ნაყოფის ირგვლივ როგორც ექონეგატიური სივრცე. თუმცა მისი მოცულობის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. სანაყოფე წყლების რაოდენობის შესაფასებლად იყენებენ ორ მეთოდს:

- ზომავენ ყველაზე დიდი „წყლის ჰიბის“ ვერტიკა-ლურ ბომას. თუ იგი 2 სმ-ზე ნაკლებია ლაპარაკობენ „მცირენწყლიანობაზე“ თუ 7 სმ-ზე მეტი - „მრავალწ-ყლიანობაზე“.
- საზღვრავენ სანაყოფე წყლების მოცულობის ინდ-ექსს - იგი წარმოადგენს ყველაზე დიდი ვერტიკა-ლური ბომების ფამს საშვილოსნოს ოთხივე კვადრან-ტში. მესამე ტრიმესტრში იგი უნდა იყოს 10-25 სმ-ის ფარგლებში. 5 სმ-ზე ნაკლები - „მცირენწყლიანობაა, ხოლო 25 სმ-ზე მეტი - მრავალწყლიანობა.

5. ნაყოფის წინამდებარე ნაწილის მდებარეობის, ასევე განვითარების ანომალიის შეფასებისათვის ულტრა-ბგერის გარდა გამოიყენება სხვა ინსტრუმენტული მე-თოდები: კარდიოტოკოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კომპიუტერული კარდიოტოკოგრაფია, დოპლერი და ა.შ.

**სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა ანტენატა-ლურ ჰერიოლში მოიცავს** ვიზიტების დროს არა მარტო ანამნეზის შეკრებას, ქალის/ნაყოფის მდგომარეობის შე-ფასებას და ლაბორატორიულ გამოკვლევებს, არამედ მშობლების კონსულტირებას, მათში საჭირო უნარ-ჩვეულების გამომუშავების მიზნით, მათ განათლებას. საკითხები, რომელიც განიხილება ე.ნ. მშობელთა სკოლაში, შეიძლება სქემატურად განაწილდეს შემდეგი თემების მიხედვით:

- ორსულთა ვიზიტების მნიშვნელობა, რაოდენობა, ვადები;
- ორსულობით გამოწვეული მსუბუქი დარღვევები და მათი კორექციის გზები;
- კვება ორსულობის დროს. კვებითი დანამატები;
- ანტენატალური ვარჭიშები;
- საშიში სიმპტომები ორსულობის დროს;

- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და სხვა ინფექციები;
- მშობიარობის რისკ-ფაქტორები;
- ფსიქოლოგიური დახმარება ორსულობის მიმდინარეობისას. ოჯახის და მამის როლი;
- ძუძუთი კვებისათვის მომზადება;
- სამშობიარო მოქმედება და მშობიარობის პერიოდები;
- ტკივილის გაყუჩება მშობიარობაში;
- ოჯახის წევრების თანადგომა;
- პოზის შერჩევა მშობიარობის დროს;
- მშობიარობის დროს გამოყენებული ჩარევები და საკეისრო კვეთა;
- ნაყოფის დაბადების პირველი სთ, კანი-კანთან კონტაქტი;
- მშობიარობის შემდგომი პერიოდი (გართულებები, ახალშობილის იმუნიზაცია, განვითარების ძირითადი მომენტები);
- ძუძუთი კვება, მეძუძური ქალის კვება;
- მშობიარობის შემდგომი ვარჯიშები;
- მშობიარობის შემდგომი კონტრაცეპცია;
- ორსული და მეძუძური დედის უფლებები საქართველოს კანონმდებლობით.

## **ნორმალურად მიმდინარე ორსულობის თანამდევი სიმპტომები**

ქალის ორგანიზმში ორსულობით გამოწვეულმა ცვლილებებმა შეიძლება ნარმოშვას ე.ნ. „მცირე“, უსიამოვნო შეგრძნები/დისკომფორტი, რომლებიც მართალია სიმპტომების ფართე სპექტრს მოიცავენ, მაგრამ როგორც წესი, მნიშვნელოვან ზიანს არ აყენებენ დედა/ნაყოფის ჭანმრთელობას. მათ მიეკუთვნება: თავის და ბურგის ტკივილი, დაღლილობა, ვარიკოზი და ა.შ. მათგან ყველაზე ხშირია დისპეპსიური მოვლენები.

**ცხრილი 10. ორსულობით გამოწვეული მსუბუქი დარღვევები და  
მათი კორექციის გზები**

№	სიმპტომები	რეკომენდაციები/რჩევები - ბებია-ქალისგან
1	გულმარვა	- მოერიდეთ ცხიმიან, მჟავე, ცხარე საკვებს, შოკოლადს, ალკო-ჰოლს - განსაკუთრებით დანოლის წინ
2	გულისრევა/ პირის ღებინება	- სანოლიდან ადგომამდე მიირთვით ბურღულეული, გახუხული ჭური - გრილი საკვები მიიღეთ ულუფების ხშირად, მცირე ოდენობით - სითხე მიიღეთ ჭამის შემდეგ და არა ჭამის დროს - მოერიდეთ ცხიმიან, ცხარე, მძაფრი არომატის მქონე საკვებს
3	ყაბბობა	- დალიეთ მეტი სითხე, შეასრულეთ მსუბუქი ვარჯიშები, იარეთ ფეხით - მიიღეთ უკრედისით მდიდარი საკვები: ხილი და ბოსტნეული
4	ბუასილი	- ყაბბობის პრევენცია. დღის განმავლობაში ხშირი დასვენება - თბილი აბაზანა
5	შვერდის დაჭიმულობა	ატარეთ კარგად მორგვებული ნატურალური ქსოვილის ბუსპალტერი
6	თეთრად შლა	- შორისი ხშირად ჩამოიბანეთ თბილი წყლით, გამოიყენეთ ბამბის ქსოვილის შესაფერი
7	ვარიკოზი	- დასვენების დროს ფეხების მაღლა აწევა, ვარჯიში, მოერიდეთ მოჭერილ წინდების დამტკრ რეზინებს, ატარეთ დაბალქეს-ლიანი ფეხსაცმელი, ელასტიური წინდა

**საყურადღებო სიმპტომები ორსულობის დროს**

- წონაში უეცარი, სწრაფი მატება (1 კგ-ზე მეტი დღე-ღამეში);
- ქვედა კიდურების შეშუპება;
- 2-3 სთ-ზე მეტი ხანგრძლივობის მწვავე და ყრუ ხასიათის ტკივილი მუცლის არეში;
- გულის წასვლა;
- მხედველობის დაბინდვა, თვალებში მბრნყინავი წერტილები;
- გაძლიერებული წყურვილის შეგრძნება შემცირე-ბული შარდის ფონზე;
- მოშარდვის დროს ტკივილის ან წვის შეგრძნება;
- უჩვეულო სუნიანი ან სისხლნარევი გამონადენი საშოდან.

## საშიში სიმპტომები ორსულობის დროს

- ძლიერი სისხლდენა საშოდან;
- მუდმივი ან შეტევითი ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში;
- მხედველობის დაქვეითება ან დაბინდვა 2-3 სთ განმავლობაში;
- თავბრუსხვევა და მხედველობის გაორება;
- ძლიერი ან განმეორებადი ღებინება;
- შემცივნება და/ან  $t^{\circ}$ -ის მომატება ( $38^{\circ}\text{C}$  და მეტი);
- წვის შეგრძნება მოშარდვისას  $t^{\circ}$ -ის ფონზე;
- სახის, კიდურების უეცარი მწვავე შეშუპება, განსაკუთრებით თუ მას თავის ტკივილი და მხედველობის გაორება სდევს თან;
- ნაყოფის უმოძრაობა 8 სთ და მეტი;
- ნაადრევი მშობიარობის დაწყება (ხშირი შეტევები 10 სთ. 1-ჯერ);
- მენჭის ღრუში ზენოლის შეგრძნება, საშოდან წყლის მსგავსი სითხის გადმოღვრა, ე.წ. „სანაყოფე წყლების დაღვრა“ ნაადრევად.

## პათოლოგიები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება ორსულობის დროს

ორსულობის გართულებებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება:

**1. ანემია** - ორსულობის დროს წარმოშობილი ანემია უფრო ხშირად არის - რკინადეფიციტური

ცხრილი 11. ანემიის ხარისხის დეფინიცია ჭანმო-ს მიხედვით.

№	ხარისხი	ჰემოგლობინი (გ/ლ)	ჰემატოკრიტი (%)
1	ზომიერი	70-109	24-37
2	მძიმე	40-69	13-23
3	ძალიან მძიმე	40-8ე <	13-8ე <

## **კლინიკური ნიშნები:**

- კანის, ფრჩხილის, კონიუქტივის სიფერმკთალე;
- საერთო სისუსტე, დაღლილობის შეგრძნება, ჰაერის უკმარისობა;
- ლაბორატორიულად რკინის ნეგატიური ბალანსის შემთხვევაში უნდა დაინიშნოს რკინის შემცველი პრეპარატები და ფოლიუმმჟავა ხანგრძლივად. მნიშვნელოვანია შესაბამისი მიკროელემენტების შემცველი და ცილოვანი დიეტა.

**2. ასიმპტომური ბაქტერიურია,** რომლის დიაგნოსტირება შესაძლებელია შარდის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით. გამომწვევია *E.coli*, გრამ უარყოფითი ბაქტერიები და *B* ჭგუფის სტრეპტოკოკები. მკურნალობის გარეშე მოსალოდნელია ცისტიტის ან პიელონეფროიტის განვითარება.

ცხრილი 12. ცისტიტის და პიელონეფროიტის კლინიკური ნიშნები.

ცისტიტის დროს	პიელონეფროიტის შემთხვევაში
დიზურია	უეცარი დაწყება ცხელებით და შემცივნებით
მოშარდვის დაუოკებელი სურვილი	ტკივილი წელის არეში (შესაბამის ან ორივე მხარეს)
შარდვის გახშირება	

მკურნალობა: ანტიბიოტიკოთერაპია, სპაზმოლიტიკები, ვიტამინთერაპია.

**3. შაქრიანი დიაბეტი** - გესტაციური დიაბეტის განვითარების ალბათობის მქონე ორსულთა გამოვლენისათვის მნიშვნელოვანია რისკ-ფაქტორების შეფასება:

- ანამნეზში უცნობი ეტიოლოგიის პერინატალური სიკვდილი;
- მრავალწლიანობა, ნაყოფის სიმახინჯე;
- სხეულის ჭარბი წონა, მაკროსომია;
- ჩვეული აბორტი;
- გესტაციური დიაბეტი წინა ორსულობის დროს;
- მემკვიდრული განწყობა (დიაბეტი ახლო ნათესავებში).

გესტაციური დიაბეტის სკრინინგი წარმოებს ორალურად, პაციენტის 50 გ გლუკოზით დატვირთვით და 1 სთ-ის შემ-

დეგ პლაზმაში მისი შემცველობის განსაზღვრით. სკრინინგი უნდა ჩატარდეს ორსულობის, 24-დან 28 კვირამდე პერიოდში. მაშინ, როდესაც პლაზმაში გლუკოზის დონე 140 მგ/ლ-ს გაუტოლდება ან აჭარბებს მას, საჭიროა გლუკოზის ტოლერანტობაზე 3 სთ-იანი ტესტის ჩატარება.

#### ცხრილი 13. გესტაციური დიაბეტის გამოვლენა

ტესტი	გლუკოზის დონე პლაზმაში (მგ/ლ)
1 საათიანი სინკი ტოლერანტობაზე (50 გ 250,0 წყალში)	13-140
3 საათიანი სინკი ტოლერანტობაზე (100 გ 400 გ წყალში): უზმობე	105
1 სთ-ში	190
1 სთ-ში	165
3 სთ-ში	155

გლუკოზის დონის გაკონტროლება შესაძლებელია დღის განმავლობაში ინსულინის მრავალჭერადი ინექციითა და საკვების მიღების რეგულირებით. დაუშვებელია ორსულობის პერიოდში ორალური პრეპარატების მიღება, ვინაიდან მრავალი მათგანი გაივლის პლაცენტარულ ბარიერში და შეუძლია ნაყოფის ჰიპერინსულინიზმის გამოწვევა.

#### 4. სისხლდენა ორსულობის აღრეულ ვალაზე.

ორსულობის | ტრიმესტრში სისხლდენის მიზეზი შეიძლება იყოს:

- აბორტი;
- ექტოპიური ორსულობა;
- ტროფობლასტური დაავადება;
- „არასამეანო გართულებები“ (საშვილოსნოს ყელის პოლიპი, ტრავმა, კიბო).

**აბორტის** მიზეზი მრავალმხრივია: საშვილოსნოს ყელის უკმარისობა, ლუთეინურ ფაზაში პროგესტერონის

დეფიციტი, იმუნოლოგიური და გარემო ფაქტორები (თამ-ბაქო, ნარკოტიკები, რადიაცია), ინფექცია და ა.შ.

**ექტოპიური ორსულობის** რისკ-ფაქტორებია: დანამატების ანთება, ან მიღებბე ჩატარებული ოპერაციები, კონტრაცეპცია პროგესტინებით, სპირალით, ადრე გადატანილი საშვილოსნოს გარეშე ორსულობა.

**ტროფობლასტური დავადების** რისკ-ფაქტორებია: ორსულობა 45 წ ზევით, ადრე გადატანილი ბუშტნამქერი.

ცხრილი 14. კლინიკური ნიშნები:

აბორტი	ექტოპიური ორსულობა	ბუშტნამქერი
გარეგანი სისხლდენა	სისხლდენა ამენორეის შემდეგ, ძლიერი, პროფუზული ინტრა-პერიტანეალური	გარეგანი სისხლდენა მუქი ფერის სისხლით
ტკივილები წელის და მუცლის ქვემოთ	დადებითი ორსულობის ტესტი	შეუწყვეტელი პირლებინება, ჰიპერტენზია
ულტრაბგერით შეწყვეტილი ორსულობა	ტკივილი მუცელაში მხრების არები	სისხლთან ერთად მტევნის მსგავსი ბუშტუკების გამოდევნა
	შოკი	

დიაგნოსტიკა: ულტრაბგერა, კულდოცენტები, ლაპარასკოპია, p.v. გასინჯვა.

მკურნალობა: აბორტის დროს ვაკუუმკიურეტაჟი, ექტოპიური ორსულობის დროს კონსერვატიული (მეტოტრექსატით) შესაბამისი ჩვენებით, ან ქირურგიული (რადიკალური - სალპინგექტომია, ან კონსერვატიული - სალპინგოსტომია), ბუშტნამქერის შემთხვევაში - ვაკუუმკიურეტაჟი, მეტოტრექსატი. შემდგომში: 6 თვის მანძილზე ქორიონალური გონადოტროპინის კონტროლით და 1 წელი კონტრაცეპციით.

## **5. სისხლდენა ორსულობის მოგვიანებით ვადაზე**

ორსულობის მეორე ნახევარში სისხლდენის ხშირ მიზეზს წარმოადგენს პლაცენტის წინამდებარეობა და ნორმალურად მიმაგრებული პლაცენტის ნაადრევი აცლა.

**პლაცენტის წინამდებარეობა** - ნიშნავს პლაცენტის იმ-პლანტაციას საშვილოსნოს ქვედა სეგმენტში, როდესაც იგი მთლიანად ან ნაწილობრივ ფარავს საშვილოსნოს ყელის შიგნითა პირს. კლასიფიკაცია:

- სრული წინამდებარეობა - სრულად ფარავს ყელის შიგნითა პირს;
- კიდითი (არასრული) ნაწილობრივ გადადის ყელის შიგნითა პირზე;
- პლაცენტის დაბალი მიმაგრება – როდესაც პლაცენტა ახლოა საშვილოსნოს ყელის შიგნითა პირთან, მაგრამ არ გადადის მასზე.

**პლაცენტის აცლა** - ნიშნავს საშვილოსნოს კედლიდან პლაცენტის აშრევებას. კლასიფიკაცია:

- პლაცენტის ნაწილობრივი აცლა შინაგანი სისხლდენით;
- პლაცენტის სრული აცლა შინაგანი სისხლდენით;
- პლაცენტის სრული აცლა გარეგანი სისხლდენით.

ცხრილი 15. განსხვავება პლაცენტის წინამდებარეობასა  
და აცლას შორის

	Pl. Previa	Abruptio Pl.
ნიშნები და სიმპტომები	ტკივილი, ღია წითელი ფერის სისხლდენა, თან სდევს ნაადრევი მშობიარობა ყელჩე ზენოლის გამო	ხშირი სამშობიარო შეტევები, საშვილოსნო დაჭიმული, მტ- კივნეული გარეგანი სისხლდენის დროს სისხლი მუქი წითელი ფერის
დედა/ ნაყოფის გართულებები	სისხლდენის I ეპიზოდი არ არის მრისხანე. მისი კონტროლი შეიძლება მოსვენებით, ტოკოლი- ტიკებით. ჰემორაგია შოკით შეიძლება განვი- თარდეს როგორც I, ისე მომდევნო სისხლდენის დროს. საკეისრო კვეთის დროს შესაძლე- ბელია იდენტიფიკაცია სრული და არასრული პლაცენტის წინამდე- ბარეობის	შეიძლება სიმწვავე მცირედ იყოს გამოხატ- ული ნაწილობრივი აცლის დროს და დი- აგნოსტირება მოხდეს, როცა შინაგანი სისხ- ლდენა ჰიპოვოლემიას გამოიწვევს, ან განვითარდეს სრული აცლით გამოწვეული ჰემორაგიული შოკი და ნაყოფის სიკვდილი. უფრო ხშირად საჭირო ხდება საკეისრო კვეთა

### პერიაქალის აქტივობა სისხლდენის დროს

- დედის სტაბილური მდგომარეობის განმავლობაში საჭიროა ვიტალური ნიშნების (PI, AD, სუნთქვა) შე-ფასება 15 წთ-ში (ან უფრო ხშირად);
- უწყვეტი ელექტროფეტომონიტორინგი;
- პულსის ოქსიმეტრის გაკეთება;
- ვენის კათეტერიზაცია;
- ჟანგბადის (8-12 ლ/წთ-ში) მიწოდება;
- სისხლის დანაკარგის აღრიცხვა;
- ლაბორატორიული კვლევისათვის სისხლის (Hgb, Hct, შედედების ფაქტორები) აღება;
- სისხლის შემცვლელების გადასხმის დაწყება;
- ფოლის კათეტერის შეყვანა შ/ბუშტში;
- საჭიროებისამებრ, ტოკოლიტიკების (გინიპრალი, პარტუსისტენი) გაკეთება;
- მომზადება საკეისრო კვეთისათვის ან სწრაფი მშო-ბიარობისათვის;

**6. ჰიპერტენზია** - ორსულობით ინდუცირებული ჰიპერტენზია ვლინდება პრეეკლამპსიის და ეკლამპსიის ფორმით. **პრეეკლამპსიის** დამახასიათებელი ნიშნებია: შეშუპება, პროტეინურია, ჰიპერტენზია.

**ეკლამპსიის** ნინამორბედი ნიშნებია: ძლიერი თავის ტკივილი, მხედველობის დარღვევა, ტკივილი ეპიგასტრიუმში, გულისრევა/პირლებინება, ავთვისებიანი ჰიპერტენზია ( $>160/110$  მმ ვერცხ. წყ. სვ), პროტეინურია (5 გ/24 სთ-ში), ოლიგოურია (500 მლ/24 სთ-ში და ნაკლები), ფილტვების შეშუპება, ციანოზი, ჰეპატოციტების დისფუნქცია; პროგრესირებადი ჰიპერრეფლექსია, რასაც თან ახლავს ჰემატოლოგიური დარღვევები, პლაცენტის აცლა, ნაკოფის ინტრანატალური სიკვდილი.

**ეკლამპსიის** ნიშნებია: მოკლე პროდრომული პერიოდი, რომელიც გამოიხატება სახის პასტომობით, კუნთთა ზერელე ფიბრილაციით, პირიდან ქაფით, რასაც თან მოსდევს ცნობიერების დაკარგვა და ღრმა კუნთების ტონური შეკუმშვა, რომელიც სწრაფად გადადის რითმულ ტონოკლონურ კრუნჩხვებში. შეტევა 1-1,5 წთ გრძელდება, რომლის დროსაც ორსული არ სუნთქავს, ცნობიერება დაბინდული აქვს. აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსვლის პერიოდში:

- ორსულს უნდა შევურჩიოთ ისეთი მდებარეობა, რომ არ დაზიანდეს;
- შევამციროთ ასპირაციის რისკი (პირის გაღება, ენის დაჭრა, ზედა სასუნთქი გზების გათავისუფლება);
- პარალელურად ვენაში დიაზეპამის შეყვანა (დიაზეპამი უნდა გაკეთდეს არა კრუნჩხვის, არამედ პაუზის დროს! რომ არ გამოვიწვიოთ ხელოვნურად სუნთქვის დამბლა);
- ჟანგბადის მიწოდება;
- მომზადება ოპერაციისათვის.

### **სამკურნალო საშუალებები, რომელიც გამოიყენება პრეეკლამპსიის დროს:**

- მაგნიუმის სულფატი - 25% ხსნარის გადასხმა (2-3 გ/სთ-ში);
- ნიფედიპინი (10 მგ პერ ოს 20 წთ-ში ერთხელ) ან ჰიდრალაზინი (5-10 მგ 20 წთ-ში 1-ჯერ);
- დიაზეპამი (5-10 მგ).

შენიშვნა: მაგნეზიის გადამეტება იწვევს ღრმა მყესოვანი რეფლექსების გაქრობას, რესპირატორულ დეპრესას და საბოლოოდ, სუნთქვის შეჩერებას. შესაძლოა მკურნალობის პროცესის უსაფრთხო მონიტორინგი კვირისტავის რეფლექსის პერიოდული შემოწმებით და სუნთქვის დათვლით. ანტაგონისტია კალციუმის გლუკონატი.

## 7. ნაადრევი მშობიარობა და ვადაგადაცილებული ორსულობა.

ნაადრევი მშობიარობა განისაზღვრება როგორც მშობიარობა ორსულობის 37 კვირის შესრულებამდე (24-27 კვირამდე)

### კლინიკური ნიშნები:

- ტკივილი მუცლის და წელის არეში (მოვლითი);
- გულისრევა, პირღებინება;
- სისხლიანი ჩამონაშალი;
- ნაყოფის მოძრაობის აქტივობის შესუსტება.

დიაგნოზი: ვაგინალური გასინჯვით.

მკურნალობა: ტოკოლიტიკებით, ნიფედიპინით, ინდომეტაცინით, კორტიკოსტერონიდებით (ნაყოფის ფილტვების მომწიფებისათვის) უკუჩვენებების გათვალისწინებით ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ასევე ყველა იმ სომატური პათოლოგიის მკურნალობა, რომელიც აქვს ქალს და რომელიც შეიძლება გახდეს ნაადრევი მშობიარობის მიზები.

**ვადაგადაცილებული ორსულობა** - ნიშნავს, რომ ორსულობის ხანგრძლივობა არის 42 კვირა და მეტი. არჩევენ ნამდვილ (ბიოლოგიურ) ვადაგადაცილებას და გახანგრძლივებულ (პროლონგირებულ) ორსულობას.

### კლინიკური ნიშნები:

- სამშობიარო მოქმედების დაწყების გადავადება, მუცლის გარშემოწერილობის შემცირება სანაყოფების რეზორბციის შედეგად;
- ნაყოფის მოძრაობითი აქტივობის დაქვეითება;
- ვაგინალურად - ნაყოფის ქალას ძვლების გამკვრივება;
- ამნიოსკოპით: მწვანე, ბლანტი, შემცირებული სანაყოფო წყლები.

დიაგნოზი: ულტრაბგერითი გამოკვლევით, ნაცხის ციტოლოგიით ან ამნიონური სითხის ციტოლოგიური

გამოკვლევით დასტურდება. ჩარევა: სამშობიარო მოქმედების ხელოვნურად აღძვრისათვის ოპტიმალურ ვადად 42 კვირამდე (41-42 კვ) პერიოდი არის მიჩნეული.

**8. მრავალნაყოფიანი ორსულობა** - როდესაც ერთი განაყოფიერებული კვერცხიდან ვითარდება რამოდენიმე ემბრიონი ან განაყოფიერდება ორი და მეტი მომწიფებული კვერცხი. ორკვერცხიანი ტყუპის დროს თითოეული სანაყოფე კვერცხი საშვილოსნოს მოსავარდნ გარსში ჩანარვის შემდეგ წარმოქმნის თავის წყლოვან და ბუსუსოვან გარსებს, რომელთაგან შემდგომ ვითარდება თითოეული ნაყოფისათვის თავისი პლაცენტა დამოუკიდებელი ფეტალური სისხლძარღვოვანი ქსელით. ორკვერცხიანი ტყუპები შეიძლება იყვნენ ერთსქესიანი და სხვადასხვა სქესიანი.

ერთკვერცხიანი ტყუპი შეიძლება იყოს ბიამნიონური და მონოამნიონური (საერთო ღრუ ორივე ჩანასახისათვის).

დიაგნოზი - ძირითადად ულტრაბგერითი გამოკვლევით დგინდება, თუმცა შესაძლოა გარეგანი გასინჯვით და განსხვავებული გულის ტონების მოსმენითაც დაისვას.

მოსალოდნელი გართულებებია: ნაადრევი მშობიარობა, სანაყოფე წყლების ნაადრევი დაღვრა, პლაცენტის ნაადრევი აცლა, სისხლდენა, უფრო იშვიათად ნაყოფების შეზრდა და სხვ. ანტენატალური მეთვალყურეობა და მკურნალობის ტაქტიკა განისაზღვრება სამეანო სიტუაციის მიხედვით. საჭიროებისამებრ, რეფერალის უზრუნველყოფით.

## II თავი

### მშობიარობა

მშობიარობა უნდა განვიხილოთ როგორც ფიზიოლოგიური პროცესი, რომელიც ვითარდება ორსული ქალის ორგანიზმში მიმდინარე რთული ნეიროენდოკრინული ცვლილებების შედეგად და რომლის დროსაც ხდება როგორც ნაყოფის, ისე მისი დამატებითი ემბრიონალური წარმონაქმნების (პლაცენტა, გარსები, სანაყოფო წყალი) გამოძევება საშვილოსნოდან.

#### მშობიარობის წინამორბედი ნიშნები:

- ორსული ქალის სხეულის სიმძიმის ცენტრის წინ გადანაცვლება;
- საშვილოსნოს ფუძის დაწევა და სუნთქვის გაადვილება;
- სქელი ლორნოვანი გამონადენი („ლორნოვანი საცობი“) საშოდან;
- ჭიპის ამობურცვა;
- მუცლის ქვემოთ და გავანელის არეში არა-რეგულარული ტკივილის დაწყება, რომელიც თანდათან მოვლითი ხასიათის რითმულ ტკივილებში გადადის;
- საშვილოსნოს ყელის „სიმწიფე“ ვაგინალური გასინჯვით (ყელი ცენტრირებული, ოდნავ დამოკლებული და დარბილებული).

მშობიარობის აქტი განიხილება, როგორც 3 კომპონენტის (3P) ურთიერთქმედება:

- Power - გამომძევებელი ძალები;
- Pelvis - სამშობიარო არხი;
- Passenger - მშობიარობის ობიექტი (ნაყოფი).

#### 1. გამომძევებელ ძალები:

- შეტევები.
- ჭინთვები.

**სამშობიარო შეტევები** ვითარდება საშვილოსნოს შეკუმშვის შედეგად მშობიარობის დაწყებისთანავე. იგი არის ნებითი, ხშირად მტკივნეული და ატარებს პერიოდულ ხასიათს. შეტევებს შორის შუალედს პაუზა ეწოდება.

**ჭინთვები** - არის არა მარტო საშვილოსნოს მუსკულა-ტურის, არამედ მუცლის პრესის და დიაფრაგმის კუნთების რითმული შეკუმშვის შედეგი. ყოველ შეტევას ახასიათებს განვითარების 3 სტადია:

- საშვილოსნოს შეკუმშვათა ინტენსივობის თანდა-თანობითი გაზრდა;
- მაქსიმალური დაჭიმულობა;
- თანდათანობითი მოდუნება.

თუ დასაწყისში შეტევათა ხანგრძლივობა 6-10 წმ-ს შეადგენს, შემდგომში იგი 50-55 წმ-მდე იზრდება, ხოლო შეტევებს შორის პაუზა მცირდება. ამ ვითარებაში საშვილოსნოს კუნთში 2 პროცესი მიმდინარეობს:

- ყოველი კუნთოვანი ბოჭკოს და პლასტის შეკუმშვა (კონტრაქცია);
- კუნთოვანი პლასტების ადგილის გადანაცვლება ერთმანეთის მიმართ (რეტრაქცია).

აღნიშნული პროცესები საბოლოოდ იწვევენ ქვედა სეგმენტის გადაჭიმვას, საშვილოსნოს ყელის გადასწორებას და გახსნას.

## 2. სამშობიარო არხი

სამშობიარო არხს წარმოადგენს:

- ქალის მენტი.
- მენტის ფუძე.

მენტი იყოფა დიდ და მცირე მენტად, რომლებიც ერთ-მანეთისაგან გამოყოფილია მენტის შესავლის სიბრტყით. მეანობაში მნიშვნელი როლი მცირე მენტს ენიჭება, რომელშიც არჩევენ:

- შესავლის სიბრტყეს;
- გამოსავლის სიბრტყეს;
- მენტის ღრუს (ფართო და ვიწრო ნაწილის სიბრტყეებით).

## ცხრილი 16. მენტის ზომები სიბრტყეების მიხედვით

მენტის სიბრტყეები	ზომები (სმ)		
	პირდაპირი	გარდიგარდმო	ირიბი
შესავალი	11	13	12/12
ფართო ნაწილი	12,5	13,5	-
ვაწრო ნაწილი	11	10,5	-
გამოსავალი	9,5-11,5	11	-

ამერიკული სკოლა გამოჰყოფს დონეებს მცირე მენტში:

- სიბრტყე, რომელიც საჭდომ წვეტებზე გაივლის არის 0-ვანი დონე;
- სიბრტყეებს, რომლებიც გადის 1, 2, 3 სმ-ით მაღლა 0-ვანი დონიდან, აღნიშნავენ როგორც -1, -2, -3 დონეებს (შესაბამისად);
- სიბრტყეებს, რომლებიც გადის 1, 2, 3 სმ-ით ქვევით 0-ვანი დონიდან, აღნიშნავენ როგორც +1, +2, +3 დონეებს (შესაბამისად). +3 დონე ნიშნავს, რომ ნაყოფის წინამდებარე ნაწილი მოთავსებულია შორისჩე.

**მენტის ფუძე** შედგება კუნთების 3 შრისაგან, რომელიც ფასციებით არის შემოსაბლვრული:

- გარეთა შრე;
- შუა შრე (შარდ-სასქესო დიაფრაგმა);
- შიგნითა შრე (მენტის დიაფრაგმა) - შედგება ყითას ამ-წევი წყვილი კუნთებისაგან (ლევატორები).

**3. მშობიარობის ობიექტი** - ნაყოფი მშობიარობის მომენტისათვის აღწევს საშუალოდ 3-3,5 კგ-ს, სიგრძე 50-52 სმ, თავის დიამეტრი 12 სმ, მხრების განივი ზომა 11-12 სმ, მანძილი მენტ-ბარძაყის სახსრებს შორის 10 სმ. ნაყოფის თავის ქალას ძვლები (შუბლის, თხემის, საფეთქლის, კეფის) ერთმანეთთან შეერთებულია ყიფლიბანდებით (დიდი და მცირე) და ნაკერებით, რომელთაც საორიენტაციო მნიშვნელობა აქვს პრაქტიკაში (მათგან განსა-

კუთრებით უნდა გამოიყოს ისრისებური/საგიტალური ნაკერი, რომელიც თხემის ძვლებს აერთებს).

ნაყოფის თავის დამოკიდებულება მენჯის სიბრტყისადმი ისაზღვრება ვაგინალური გასინჯვით:

**ნაყოფის თავი მენჯის შესავალთან** - ნიშნავს, რომ თავი მენჯის შესავალთანაა, მოძრავი; ისრისებრი ნაკერი გარდიგარდმო ზომაშია, დაახლოებით თანაბრადაა დაშორებული სიმფიზისა და კონცხისაგან. დიდი და მცირე ყიფლიბანდები განლაგებულია ერთ დონეზე.

### **ნაყოფის თავი მცირე სეგმენტით მენჯის შესავალში**

თავი ფიქსირებულია, მისი მცირე სეგმენტი განთავსებულია მენჯის შესავლის სიბრტყის ქვემოთ. ვაგინალური გასინჯვისას შეიძლება ბოქვენის სიმფიზის შიგნითა ზედაპირის და კონცხის პალპირება. ისრისებრი ნაკერი გარდიგარდმო (ან ოდნავ ირიბ) ზომაშია. დიდი ყიფლიბანდი მცირე ყიფლიბანდზე მაღლაა (თავის მოხრის ხარჯზე).

### **ნაყოფის თავი დიდი სეგმენტით მენჯის შესავალში**

ნაყოფის თავის დიდი ნაწილი განთავსებულია მენჯის შესავლის სიბრტყის ქვემოთ. ადვილად მიღწევადია საჭდომი წვეტები. საგიტალური ნაკერი ირიბ ზომაშია.

### **ნაყოფის თავი მცირე მენჯის ფართო ნაწილში**

ვაგინალური გასინჯვისას შეიძლება სიმფიზის ქვედა მესამედი, გავის IV და V მალების და საჭდომი წვეტების პალპირება. ისრისებრი ნაკერი ირიბ ზომაშია.

### **ნაყოფის თავი მენჯის ვიწრო ნაწილში**

ვაგინალური გასინჯვით აღარ შეიძლება სიმფიზის შიგნითა ზედაპირის გასინჯვა. ისრისებრი ნაკერი ირიბ ზომაშია.

### **ნაყოფის თავი მენჯის გამოსავალში**

შეუძლებელია საჭდომი წვეტების გასინჯვა. საგიტალური ნაკერი მენჯის გამოსავლის პირდაპირ ზომაშია.

## ცხრილი 17. დროული ნაყოფის თავის ზომები

ზომების დასახელება	მანძილი (განმარტება)	ზომა (სმ)
პირდაპირი	წარბსაყარიდან კეფის ბორც-ვამდე	12
ვერტიკალური	ენის ქვეშა ძვლიდან დიდი ყიფლიბანდის შეა წერტილამდე	9,5
დიდი ირიბი	ნიკაპიდან კეფის ყველაზე დაშორებულ წერტილამდე	13,5
მცირე ირიბი	დიდი ყიფლიბანდის წინა კიდიდან კეფქვეშა ფოსომდე	9,5
საშუალო ირიბი	შუბლის თმიანი ნაწილის საბ-ღვრიდან კეფქვეშა ფოსომდე	9,5-10,5
დიდი გარდი- გარდმო	თხემის ბორცვებს შორის	9,5
მცირე გარდი- გარდმო	გვირგვინოვანი ნაკერის ყველაზე დაშორებულ წერტილებს შორის	8

## მშობიარობის პროცესი

მშობიარობის პროცესი იყოფა 3 პერიოდად:

- **გახსნის პერიოდი**, რომლის დროსაც ცერვიკალური არხი იმდენად ფართოვდება, რომ ნაყოფს საშუალებას აძლევს მასში გაიაროს.
- **გამოძევების პერიოდი** - როდესაც ნაყოფი გამოიდევნება სამშობიარო გზებიდან.
- **მომყოლის პერიოდი** - როდესაც ხდება საშვილოსნოს კედლებიდან პლაცენტის მოცილება და გარეთ გამოსვლა.

**ცხრილი 18. თითოეული პერიოდის ხანგრძლივობა**

პერიოდები	პირველი მშობიარობა	განმეორებითი მშობიარობა
გახსნის	12-14 სთ	6-10 სთ
გამოძევების	60 წთ	30 წთ >
მომყოლის	20-30 წთ ან 5-15 წთ (აქტიური მართვის დროს)	20-30 წთ ან 5-15 წთ (აქტიური მართვის დროს)

**1. გახსნის, ანუ პირველი პერიოდი** - არის დრო რეგულარული სამშობიარო მოქმედების დაწყებიდან საშვილოსნოს ყელის სრულ გახსნამდე. მას ჰყოფენ ორ ფაზად:

**ლატენტური ფაზა** - პერიოდი რეგულარული ტკივილების დაწყებიდან საშვილოსნოს ყელში სტრუქტურული ცვლილებების გამოვლენამდე (3-4 სმ-დე გახსნა). პირველმშობიარეში საშუალო ხანგრძლივობა უდრის 6,4 სთ-ს, ხოლო განმეორებითში 4,8 სთ-ს.

**აქტიური ფაზა** - პერიოდი, რომელიც საშვილოსნოს შეკუმშვების სიხშირის, ინტენსივობის ზრდით (ხანმოკლე ინტერვალები) მიმღინარეობს და მთავრდება საშვილოსნოს ყელის 4 სმ-დან 10 სმ-მდე გახსნით. ნორმაში გახსნის სიჩქარე პირველმშობიარეში არის 1-1,5 სმ/სთ-ში, განმეორებითში 2-2,5 სმ/სთ-ში.

**2. გამოძევების (ანუ მეორე) პერიოდი** - იწყება საშვილოსნოს ყელის სრული გახსნის მომენტიდან და მთავრდება ნაყოფის დაბადებით. მეორე პერიოდში ნაყოფის წინამდებარე ნაწილი (თავი) გაივლის სამშობიარო არხს, ასრულებს რა შემდეგ მოძრაობებს:

- მოხრა;
- შინაგანი ბრუნვა (სწორი როტაცია კეფით სიმფიზ-ისაკენ);
- გაშლა;
- გარეგანი ბრუნვა (I პოზიციის დროს ნაყოფი პირი-სახით ბრუნდება დედის მარჯვენა ბარძაყისაკენ, II პოზიციის დროს მარცნივ).

**შენიშვნა:** აღნიშნულ ბიომექანიზმს ეწოდება წინა სახე, რომელიც ყალიბდება 98%-ში, 2%-ში კი ნაყოფის თავი მენტის ღრუში ანარმოებს არასწორ როტაციას ანუ მცირე ყიფლიბანდი ბრუნდება გავის ძვლისაკენ (უკანა სახე). ნორმალური ბიომექანიზმის აღნიშნული ვარიანტის შემთხვევაში ნაყოფის თავი მცირე მენტში გავლის დროს ასრულებს შემდეგ მოძრაობებს:

- მოხრა;
- შინაგანი ბრუნვა (არასწორი როტაცია);
- დამატებითი (მაქსიმალური) მოხრა;
- გაშლა;
- გარეგანი ბრუნვა;

### **მეორე პერიოდში არჩევენ ორ ფაზას:**

- ტრანზიტორული;
- ექსპულსიური.

**ტრანზიტორული ფაზის** დროს სამშობიარო მოქმედება აღნევს პიკს. შეტევები მეორდება 2-3 წთ-ში და გრძელდება - 60-90 წმ-ის ხანგრძლივობით. ფაზის დასასრულისათვის ნაყოფის თავის ისრისებრი ნაკერი ირიბი ზომიდან გადადის გამოსავლის სიბრტყის პირდაპირ ზომაში.

**ექსპულსიურ ფაზაში** - მშობიარეს ეწყება ჭინთვები. წინამდებარე თავი შეტევის დროს ჩნდება სასქესო ნაპრალში, ხოლო შეტევათა შორის შუალედში - იმალება (ე.წ. „შეჭრა), რასაც მოსდევს „გამოჭრა“, როდესაც პაუზის დროს ნაყოფის თავი აღარ იმალება სასქესო ნაპრალში. შორისი ამ დროს მაქსიმალურად არის გადაჭიმული. კეფით წინამდებარეობის წინა სახის დროს ნაყოფის თავი გამოიჭრება მცირე ირიბი ზომით (32 სმ), უკანა სახის შემთხვევაში - საშუალო ირიბი ზომით (33 სმ). შეჭრისა

და გამოჭრის ფაზებს მოსდევს თავის დაბადება/გარეგანი ბრუნვა პოზიციების მიხედვით და მხრების შინაგანი ბრუნვა. მხარები დგება მცირე მენტის გამოსავლის სიბრტყის პირდაპირ ზომაში. წინა მხარი მიებჯინება ბოქვენის სიმფიზის ქვედა კიდეს, რის შემდეგაც შორისს ამოსცდება უკანა მხარი. შემდგომ ნაყოფი იბადება ყოველგვარი ბრუნვის გარეშე.

**3. მომყოლის (ანუ მესამე) პერიოდი** - ეს არის დრო პლაცენტის დაბადებამდე. ნაყოფის გამოძევების შემდეგ საშვილოსნოს შეკუმშვები განახლდება და იწყება პლაცენტის აშრევების ნიშნების გამოვლენა:

- საშვილოსნოს ფუძე აიწევს ჭიპამდე;
- საშოდან იწყება სისხლდენა;
- ჭიპლარის გარეთა (ხილული) ნაწილი დაგრძელდება.

**მესამე პერიოდს ყოფენ 3 ფაზად:**

- ლატენტური;
- გამოყოფის;
- გამოდევნის (ექსპულსიური).

**ლატენტური ფაზა** - არის პერიოდი ნაყოფის გამოძევებიდან პლაცენტის აშრევებამდე (ხანგრძლივობა საშუალოდ 141 წმ) აშრევება შეიძლება 2 გზით მოხდეს:

- ცენტრალური ანუ შულცის წესით (წარმოიქმნება რეტროპლაცენტარული ჰემატომა. მზარდი ჰემატომა შემდგომ აშრევებას განაპირობებს);
- პერიფერიული ანუ დუნვანის წესი (აშრევება იწყება კიდიდან, სისხლი პირდაპირ გამოდის გარეთა სასქესო ორგანოებიდან და რეტროპლაცენტარული ჰემატომა არ წამოიქმნება). ამასთან, სისხლდენა იწყება მომყოლის მოცილების დაწყებისთანავე.

**გამოყოფის ფაზა** - არის პერიოდი აშრევებიდან პლაცენტის გამოდევნამდე (საშუალოდ 50 წმ-დან 2 სთ-მდე).

**ექსპულსიური ფაზა** - როდესაც პლაცენტა სრულიად გამოიდევნება საშვილოსნოდან (საშუალო ხანგრძლივობა 8,5 წმ). ცენტრალური აშრევების დროს პლაცენტა გამოძევდება ნაყოფისმხრივი, ხოლო კიდითი აშრევებისას დედისმხრივი ზედაპირით.

მომყოლის მოცილების შემდეგ საშვილოსნო ძლიერად იკუმშება, რაც წარმოადგენს პლაცენტარული მოედნიდან სისხლდენის შეჩერების ძირითად მექანიზმს. საშვილოსნოს კუნთოვანი ბოჭკოების შეკუმშვით ხდება სისხლძარღვთა სანათურების მიჯყლება, რაც აადვილებს მათში ფიბრინის კოლტების წარმოქმნას.

### მშობიარობის მართვა

მშობიარობის მართვის პროცესში აუცილებელია ქალის უფლებების გათვალისწინება;

### მშობიარე ქალს უფლება აქვს:

- აირჩიოს ექიმი და ადგილი მშობიარობისათვის;
- ჰქონდეს განსხვავებული შეხედულებები და მოიძიოს მეორე აზრი;
- აირჩიოს მშობიარობის მეთოდი;
- აირჩიოს პოზიცია მშობიარობის დროს;
- აირჩიოს გაუტკივარების მეთოდი/ან უარი თქვას ტკივილგამაყუჩებლების რუტინულ გამოყენებაზე;
- მოითხოვოს ოჯახის წევრების დასწრება მშობიარობაზე;
- მოითხოვოს პრივატულობის და კონფიდენციალობის დაცვა;
- მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია მედ. პერსონალისაგან და მის საფუძველზე მიიღოს გააზრებული გადაწყვეტილებები.

### მშობიარე ქალის ინფორმირება

- თითოეული ქალი ინფორმირებული უნდა იყოს ყველა შეთავაზებული პროცედურის ნაკლისა და უპირატესობის თაობაზე;

- მოვლის დონე, რომელიც შესაძლოა დასჭირდეს ქალს, წინასწარ უნდა იქნას პროგნოზირებული;
- ქალმა უნდა იცოდეს მშობიარობის წარმართვის სხვადასხვა შესაძლო გზის შესახებ;
- ქალს უფლება აქვს მიიღოს მისთვისა და ბავშვისათვის უსაფრთხო ინფორმირებული გადაწყვეტილება;
- ინფორმაციის მიღების შემდეგ ქალს აქვს მკურნალობაზე უარის თქმის უფლება;
- ქალი ჩართული უნდა იყოს მშობიარობის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

### **მშობიარობის მართვის რეკომენდაციები (ჟანმო-ს მიხედვით)**

- მშობიარობის პროცესში ნათესავების დასწრების შესაძლებლობა ქალის არჩევანის შესაბამისად და მშობიარობის შემდგომ პერიოდში მნახველთა თავისუფალი დაშვება;
- ბოქვენის რუტინული გაპარსვა, გამწმენდი ოყნის რუტინული გამოყენება მშობიარობის წინ - საფუძველს მოკლებულია;
- ლითოტომური პოზიცია როგორც ერთადერთი შესაძლო - ქალს არ უნდა შეეთავაზოს;
- უარი უნდა ითქვას რუტინულ ეპიზიოტომიაზე;
- უარი უნდა ითქვას ტკიფილგამაყუჩებლების რუტინულ გამოყენებაზე;
- ქალმა უნდა იმშობიაროს უსაფრთხოდ;
- ჟანმრთელი ახალშობილი უნდა იმყოფებოდეს დედასთან ერთად.

ჟანმოს განმარტებით უსაფრთხო მშობიარობა ნიშნავს:

- სუფთა მშობიარობას;
- ჩატარებულს შესაბამისად მომზადებული პირის მიერ;
- კვალიფიციური/სპეციალიზირებული სამეანო დამარების ხელმისაწვდობას (გართულების მაღალი რისკის, ან პათოლოგიის განვითარების შემთხვევაში განგრძობად დახმარებას).

**მშობიარობის მართვის სტილი** - არსებობს ტრადიციული და ოჯახზე ორიენტირებული მოდელები.

ცხრილი 19. პერინატალური დახმარების 2 მოდელი.

ტრადიციული	ოჯახზე ორიენტირებული
დედა/ბავშვი განიხილება, როგორც პაციენტი	დედა/ბავშვი/მედპერსონალი - ერთი გუნდის წევრებია
მშობიარობის სხვადასხვა ეტაპი სხვადასხვა ოთახში მიმდინარეობს	მშობიარობა ერთ ოთახში მიმდინარეობს
დედა/ბავშვი ცალ-ცალკე პალატებში თავსდება	დედა/ბავშვი ერთ პალატაში არიან განთავსებული
ნათესავებთან შეხვედრა იკრძალება	ნათესავები ჩართულნი არიან და ეცნობიან დედა/ბავშვის მდგომარეობას
ხდება მამის ინფორმირება მშობიარობის მიმდინარეობის შესახებ	მამა მონაწილეობს მშობიარობაში

## 1. მშობიარობის პირველი პერიოდის მართვა

მშობიარობის | პერიოდში მედ. პერსონალის წინაშე დგას შემდეგი **ამოცანები:**

- მუდმივი დაკვირვება და მშობიარესათვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა;
- მშობიარობის პროგრესის შეფასება, ფიზიოლოგიური მშობიარობის ნიშნების იდენტიფიცირება;
- ნორმიდან გადახრის დროული გამოცნობა - ჩარევის მიზნით;
- ნაყოფის მდგომარეობაზე დაკვირვება;
- ადექვატური და დროული გაუტკივარება ქალის სურვილის გათვალისწინებით;
- მშობიარესა და მისი პარტნიორისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება კონკრეტული სიტუაციის მიხედვით;

- საკმარისი ოდენობით სითხეების მიწოდება/გადასხმა კეტოაციდობის თავიდან ასაცილებლად.

### **ფიზიოლოგიურად მიმდინარე მშობიარობის ნიშნებია:**

- სპონტანური (თვითნებური) დაწყება;
- ერთი ნაყოფი - თავით წინამდებარეობით;
- გესტაციის ვადა 37-42 კვირა;
- ანამნეზში ბუნებრივი მშობიარობა და რაიმე ჩარევის არ არსებობა;
- დედის და ნაყოფის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

ხანგრძლივობა 12 სთ (პირველი მშობიარობა) და 8 სთ - განმეორებითი მშობიარობის დროს.

### **მშობიარობის I პერიოდის მართვის ძირითადი პრინციპებია:**

- ოყნის და გაპარსვის რუტინული დანიშვნის გარეშე;
- ინდივიდუალურ სამშობიარო ოთახში მშობიარობა;
- მოვლა „ერთი ქალი - ერთი მეანი“;
- ჰარტნიორის მონაწილეობა მშობიარობაში;
- მსუბუქი კვების და წყლის მიღების ნების დართვა იმ შემთხვევაში, თუ არაა მოსალოდნელი ზოგადი ანესთეზია (მენდელსონის სინდრომის საპროფილაქტიკოვოდ);
- ვერტიკალური პოზიცია და მოძრაობა - დასაშვებია ყველა ის პოზიცია, რომელშიც ქალი თავს კომფორტულად გრძნობას: სიარული, ჭდომა, გვერდზე წოლა და ა.შ;
- დემედიკალიზაცია;
- გაუტკივარების არამედიკამენტოზური მეთოდები;
- პრინციპი: „დააკვირდი და დაიცადე“;
- ქალის ჩართვა გადაწყვეტილების მიღებაში.

**შენიშვნა:** კვლევით იქნა დაგენილი, რომ:

- **გაპარსვა:** არ ამცირებს ინფექციის რისკს, იწვევს კანის მთლიანობის დარღვევას და გაღიზიანებას, არის დამამცირებელი პროცედურა;
- **ოყნა** ასევე არ იცავს ფევერალური დაბინძურებისა და ინფექციისაგან. არაა დასაბუთებული მისი რუტინულად გამოყენების აუცილებლობა;

- **პოზიციები** პირველ პერიოდში - ვერტიკალური მდგომარეობა/სიარული: განაპირობებს ტკივილების ხანგრძლივობის შემცირებას, ანალგეტიკების და ოქსიტოცინის ნაკლებად გამოყენებას, ნაყოფის გულისცემის რითმის დარღვევის გაცილებით მცირე შემთხვევებს;
- **პარტნიორის** მონაწილეობა მშობიარობის | პერიოდში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მშობიარე ქალის თვით-გრძნობას, ამცირებს ჰიპოენენების დაბადებულ ბავშვთა ხვედრით წილსა და ანალგეზიაზე მოთხოვნილებას;
- ქალებს, რომელთაც ჰქონდათ მუდმივი მხარდაჭერა „ერთი ქალი - ერთი მეანი“, სპონტანური დაწყება მშობიარობისა უფრო ხშირად აღენიშნებოდათ და ნაკლებად სჭირდებოდათ მედიკამენტოზური გაუტკივარება.

### **გარემო მშობიარობისათვის:**

- ინდივიდუალური სამშობიარო ოთახი;
- სუფთა, თუმცა არა სტერილური;
- თბილი ( $t=25^{\circ}\text{C}$ ), ორპირი ქარის გარეშე (ვადამდელი მშობიარობის შემთხვევაში ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ  $28^{\circ}\text{C}$ -ისა);
- კარგად განათებული;
- აღჭურვილი თავისუფალი პოზიციების არჩევისათვის;
- სარეანიმაციო აღჭურვილობით დედისა და ბავშვისათვის (სამკურნალო პრეპარატების საბაზისო ნაკრებით);
- გარემო მაქსიმალურად მიახლოებული „ოჯახურთან“;
- მომზადებული მედ. პერსონალი.

**პირველ პერიოდში მშობიარობის მიმდინარეობის ასახვა** - ხდება პარტოგრამაზე (გრაფიკულად), რომელიც საშუალებას იძლევა სწრაფად, ვიზუალურად შეფასდეს საშვილოსნოს ყელის გახსნის სიჩქარე ნორმასთან შედარებით, შეკუმშვების სიხშირე და ძალა, თავის წინმსვლელობა, სანაყოფებულების მოცულობა და ფერი. ქა-

ლის მდგომარეობის ვიტალური მაჩვენებლები (AD, PI, t°) და ა.შ. პარტოგრამაზე მონაცემთა დატანა ხდება შემდეგი წესით:

1. შემოსვლის დრო ჩაიწერება გრაფაში „შემოსვლის დრო“;
2. გრაფა „დრო“ ივსება პირველად და კიდით ხაზზე იწერება ის დრო, როდესაც დაიწყო მშობიარობის | პერიოდი (ლატენტური ფაზა) ანუ საშვილოსნოს ყელის გახსნა 0-3 სმ-ზე;
3. გრაფაში „სანაყოფო წყლები“ იწერება:
  - C თუ წყლები გამჭვირვალეა;
  - B თუ წყლებში სისხლია შერეული;
  - M თუ წყლები მეკონიუმ ნარევია;
  - I როცა ბუშტი მთელია;
4. გრაფაში „თავის კონფიგურაცია“ - იწერება:
  - 0 - ე.ი. კონფიგურაცია არაა;
  - (+) - თუ თხემის ძვლები ერთმანეთთან არის მიახლოვებული;
  - (++) - თუ თხემის ძვლები გადადის მცირედ ერთმანეთზე;
  - (+++) - თუ თხემის ძვლები მნიშვნელოვნადაა ერთმანეთზე გადასული.
5. გრაფა „საშვილოსნოს ყელის გახსნა“ - აღინიშნება (X) ნიშნით შესაბამისი საათის და ხაზის გადაკვეთაზე (იმ ფაზის მიხედვით, რომელშიც არის მშობიარე). ლატენტური ფაზიდან თუ აქტიურ ფაზაში გადადის მშობიარობა იგივე პუნქტირით გადავა მეორე ხაზზე - ე.წ. „სიფხიზლის ხაზზე“.
6. გრაფა „ნაყოფის თავის წინმსვლელობა“ - აღინიშნება 5/5-ით შემოხაზული წრე შესაბამისი საათის გადაკვეთის ადგილზე:  
თუ თავი მოძრავია შესავალთან იქნება 5/5 და წრე შემოიხაზება შესაბამისი საათის და რიცხვი „5“-ის გადაკვეთაზე;

- თუ თავი მცირე სეგმენტითაა. იქნება 4/5 და წრე შემოიხაზება შესაბამისი საათის და რიცხვი „4”-ის გადაკვეთაზე;
  - თუ თავი დიდი სეგმენტითაა. იქნება 3/5 და წრე შემოიხაზება შესაბამისი საათის და რიცხვი „3”-ის გადაკვეთაზე;
  - თუ თავი ორუშია იქნება 2/5 და შემოიხაზება „2”;
  - თუ თავი გამოსავალშია იქნება 1/5 და შემოიხაზება „1”.
7. გრაფა „საშვილოსნოს შეკუმშვები 10 წთ-ში ერთხელ“ რამდენია. თუ არის 20-25” აღინიშნება შტრიხით (//), თუ 40-50” მაშინ მთლიანად გაფერადდება იმდენი უკრა, რამდენი შეკუმშვაც მოხდა 10 წთ-ში (ვერტიკალურად);
8. „ოქსიტოცინი“ თუ შეგვყავს შესაბამის საათზე ავღნიშნავთ და გავაფერადდებთ ჰირიზონტალურად რამდენი საათიც მიმდინარეობს გადასხმა;
9. თუ სხვა რაიმე წამალი გაუკეთდა, უნდა ჩაიწეროს დასახელება და რაოდენობა გრაფაში „მიღებული წამლები“;
10. გრაფაში (პულსი და AD) - პულსი აღინიშნება შესაბამისი საათის გადაკვეთაზე წერტილით, ხოლო AD I-ხაზით, რომლის ზედა ბოლო აღნიშნავს სისტოლურ წნევას, ქვედა ბოლო კი დიასტოლურს;
11. „ტემპერატურა“ - იწერება პირდაპირ რიცხვი;
12. შარდი - შესაბამის საათზე იწერება ცილა და რაოდენობა (თუ ნეფროპათიაა), თუ არა მხოლოდ რაოდენობა.

#### **შენიშვნა:**

ლატენტურ ფაზაში იგულისხმება: საშვილოსნოს ყელის გახსნა 0-3 სმ-მდე და არარეგულარული ან სუსტი ინტენსივობის სამშობიარო მოქმედება.

P.V. გასინჯვა ნორმალური მიმდინარეობის დროს 4 სთ-ში 1-ჭერ.

## გაუტკივარების არათვარმაკოლოგიური მეთოდების მშობიარობის | პერიოდში

- რელაქსაცია, მშობიარეს მდგომარეობის ცვლა;
- შეხება/მასაჟი, აკუპუნქტურა ან აკუპრესურა;
- ზენოლა გავის არეში (კონტრდანოლა);
- წყლის პროცედურები (აბაზანა, შხაპი);
- ცივი და ცხელი წყლის კომპრესი (კანის გაცივება/შეთბობა);
- ჰიპნოზი. ყურადღების კონცენტრირება/გადატანა ხმოვან გამლიზიანებლებზე (მუსიკა).

## 2 მშობიარობის მეორე პერიოდის მართვა

მეორე პერიოდის მართვის ძირითადი პრინციპებია:

- მშობიარობა სუფთა, მაგრამ არა სტერილური;
- თავისუფალი პოზიცია;
- არ ვუხელმძღვანელოთ ჭინთვებს - არ შევზღუდოთ თვითნებურად || პერიოდის ხანგრძლივობა;
- ვაკონტროლოთ ნაყოფის გულისცემა ყოველი ჭინთვის შემდეგ;
- არ ვაწარმოოთ ეპიზიოდომია რუტინულად;
- მეორე პერიოდი წარვმართოთ მშობიარესთან მუდმივი კონტაქტით.

**შენიშვნა:** 1. სუფთა მშობიარობა ნიშნავს:

- სუფთა ხელებს;
- სუფთა ზედაპირებს;
- ჭიპლარის სუფთად გადაჭრას.

2. რეკომენდებულია თითოეული კონკრეტული მშობიარობის დროს შეირჩეს შორისის დაცვის საუკეთესო მეთოდი. იმ შემთხვევაში, თუ შორისის მოსალოდნელი ჩახევის ნიშნები გამოჩნდა, საჭიროა ნაწარმოებ იქნას პერინეო - ან ეპიზიოდომია ადგილობრივი ანალგეზის ქვეშ (თუ მშობიარობა არ მიმდინარეობს ეპიდურალური გაუტკივარების ფონზე).

**ეპიზიოდომია** - ეს არის შორისის ჩაჭრა მშობიარობის დროს, სამშობიარო გზების გაფართოების მიზნით. ეპიზიოდომიის აბსოლუტური ჩვენებაა ანამნეზში შორისის დაზიანების აღდგენა და ოპერაციები მენტის ფუძის არეში. შეფარდებითი ჩვენებია: რიგიდული შორისი, ნაყოფის ჰიპოქსია და მხრების დისტოცია, მენტით წინამდებარეობა/ოპერაციული მშობიარობა (სამეანო მაშა). შორისის ჩაჭრა შეიძლება გავეთდეს შუა ხაზე (პერინეოფომია) და მედიოლატერალურად (ეპიზიოდომია). მშობიარობის შემდგომ ჭრილობა აღდგება ტიპიურად, კვანძოვანი ნაკერებით

## ბებიაქალის როლი მშობიარობის II პერიოდში

- ჰიგიენის და კომფორტის ზომების მიღება;
- დახმარება ჭინთვების დაწყების წინ - ემოციური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;
- დახმარება ექსპულსიური ფაზის დროს
  - ადრეული (როცა ყელი ჭერ კიდევ არაა სრულად გახსნილი) ჭინთვის მცდელობის აღკვეთა;
  - ჭინთვის ტექნიკა (სწორი სუნთქვა, ბავშვისათვის რისკის შემთხვევაში ჭინთვების მართვის ორგანიზება);
  - პერინეალური პრაქტიკა (შორისის დაცვა საჭიროებისამებრ - ტრავმის მინიმიზაციისათვის);
  - ეპიზიოდომიის საჭიროების შეფასება.
- ჭიპლარის გადაჭრა/დამუშავება;
- ახალშობილის პირველადი მოვლა;

**ჭიპლარის გადაჭრის** ყველაზე ოპტიმალურ დროდ ითვლება დაბადებიდან პირველი წუთი. ნაადრევი გადაჭრა ხდება მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში):

- გადაჭრა წარმოებს ორ მომჯერს შორის, სტერილური მაკრატლით;
- გადაჭრის ადგილი წინასწარ მუშავდება 96<sup>0</sup>-იანი სპირტით, მასზე დაეფარება სტერილური მარლა, რათა გადაჭრის მომენტში არ გაიფანტოს სისხლის წვეთები;
- ბავშვის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით ბები-

აქალის ხელი თავსდება ახალშობილსა და მჭრელ ინსტრუმენტს შორის;

- ჭიპლარის გადასაკვანძად უმჯობესია ელასტიური მასალის (რეზინის ან პლასტიკური მომჭერი) გამოყენება;
- ჭიპლარის ტაკვის შემდგომი მოვლა ხდება ღია წესით.

### **ახალშობილის პირველადი მოვლის პრინციპები:**

1. ნაყოფის მიღებისათვის გარემოს მომზადება;
2. ბავშვის გამშრალება - თბილი საფენით, თბილი წინდების ჩაცმა, ქუდის დახურვა;
3. ახალშობილის მდგომარეობის შეფასება;
4. კლასიფიცირება (დროული/არადროული) და მზადყოფნა რეანიმაციისათვის;
5. ბავშვის დედასთან მიყვანა - „კანი-კანთან“ კონტაქტი;
6. საჭიროებისამებრ, სასუნთქი გზების ამონმენდა;
7. ჭიპლარის გადაკვანძვა;
8. ძუძუზე მიყვანა (დაწვენა დედაზე) და თბილი გადასაფარებლით დაფარვა;
9. პრევენციული ოონისძიებების დაწყება (მაგ., თვალის დამუშავება ტეტრაციკლინის მაღამოთი, K ვიტამინის შეყვანა და სხვ.);

**შენიშვნა:** მე-2-7 პუნქტები ერთდროულად სრულდება პირველივე წუთებში დაბადებიდან.

**ახალშობილის მდგომარეობის შეფასებისათვის გამოიყენება ე.ნ. აპგარის შვალა. შეფასება ხდება პირველ, მეხუთე და 30-ე წთ-ზე. შეფასების კრიტერიუმებია:**

- გულისცემის სიხშირე;
- სუნთქვა;
- კანის შეფერილობა;
- კუნთთა ტონუსი;
- რეფლექსები.

ყოველი ნიშანი 3-ბალიანი სისტემით ფასდება: 0; 1; 2. მიღებული ბალების ჭამით კი საბოლოოდ კეთდება დასკვ-

ნა, რომელიც ახალშობილის მდგომარეობას ასახავს. სახელდობრ, 10-7 ქულა - ჭანმრთელი ახალშობილია. 6-5 ქულა ნიშნავს, რომ ახალშობილი მსუბუქ ასფიქსიაში დაიბადა. 5-4 ბალი - არის საშუალო სიმძიმის ასფიქსია. 4 ბალზე ნაკლები - მძიმე ასფიქსია. 0 ქულა - კლინიკურ სიკვდილს აღნიშნავს.

ცხრილი 20. ახალშობილის აპგარის შკალით შეფასების სქემა

ნიშნები	გალები		
	0	1	2
გულისცემა	არ აქვს	<100 /წთ	100-140 /წთ-ში
სუნთქვა	არ აქვს	ერთეული	კარგი, ყვირის
კანის ფერი	თეთრიან ციანოზური	ვარ- დისფერი კიდურების ციანოზი	ვარდისფერი
კუნთა ტონუსი	არ აქვს	დაქვეით- ებულია	აქტიურად მოძრაობს მონაწილეობს მშობიარობაში
რეფლე- ქსები	არ აქვს რეაქცია ფეხისგულის გაღიზიანე- ბაზე	გამოიხატე- ბა გრიმასა	მოძრაობს, ხმა- მაღლა ტირის

ბევრი კლინიცისტი თვლის, რომ აპგარის შკალა არაა ინდიკატორი რეანიმაციისათვის, იგი უფრო რეანიმაციის ეფექტურობის შეფასების თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. უკანასკნელ წლებში უპირატესობა ენიჭება ე.წ. „სწრაფ შეფასებას“ - მიღომას, რომელიც შეფასებასთან ერთად შესაბამის სისტემურ დახმარებას გულისხმობს. იგი 5 ნაბიჭე მოიცავს:

**I ნაბიჯი** - თერმალური სტრესის თავიდან აცილება - ყველა მანიპულაციის შესრულება მშრალი სითბოს პირობებში, ახალშობილის მოთავსება შემთბარ მაგიდაზე/თბილი საფერით შემშრალება, ქუდი თავზე, დედის სხეულზე მოთავსება;

**II ნაბიჯი** - სასუნთქი გზების გამტარობის აღდგენის მიზნით ლორწოს ამონვა (ღრმა ამონვა არაა რეკომენდებული პირველი 5 წთ-ის განმავლობაში, რომ არ მოხდეს ბრადიკარდის გაძლიერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეკონიუმის ამონვა ხდება);

**III ნაბიჯი** - სუნთქვის რითმის შეფასება - თუ არ სუნთქავს ეფექტურად, საჭიროა ნიღბით ვენტილაცია - ჟანგბადის მიწოდება სველი წესით, დადებითი წნევით;

**IV ნაბიჯი** - გულისცემის შეფასება: თუ ახალშობილის გულისცემა წთ-ში 100-ზე ნაკლებია, სჭირდება ვენტილაცია 30 წამის განმავლობაში, თუ 60 დარტყმაზე ნაკლებია/წთ-ში ვენტილაცია გრძელდება. ინტუბაციის სიღრმის დასადგენად მოწოდებულია შემდეგი ფორმულა:

სხეულის მასა (კგ) + 6 სმ = საინტუბაციო მილის შეტანის სიღრმე;

**V ნაბიჯი** - მეკონიუმის ასპირაციის შემთხვევაში საჭიროა ელექტოამონტოვით სასუნთქი გზების განთავისუფლება და სასწრაფო ინტუბაცია.

**შენიშვნა:** ითვლება, რომ ჭანმრთელი ბავშვების დიდი ნაწილი საერთოდ არ საჭიროებს სასუნთქი გზების განთავისუფლებას, განსაკუთრებულ შემთხვევებში მაგ., მეკონიუმ/სისხლნარევი სანაყოფე წყლები) ტარდება ზედა სასუნთქი გზების სანაცია.

### **ზედა სასუნთქი გზების სანაციის ჩატანების წესი:**

- გამოიყენება რეზინის ბალონი ან კათეტერი;
- თუ სანაყოფე სითხე არაა მეკონიუმნარევი, სანაციის ხანგრძლივობაა - 5 წმ;
- იგი კეთდება არა უღრმეს 5 სმ-ისა ტუჩის კიდიდან ან 30 სმ-ისა ნესტოდან (დროულ ახალშობილებში).

## **კლასიფიკაცია და მოვლა**

ახალშობილის სწრაფი შეფასების შემდეგ ხდება მისი კლასიფიკირება. გამოიყოფა 4 ჯგუფი:

I - ახალშობილი ადექვატური სუნთქვით, გესტაციური ვადა 37 კვ და მეტი, წონა 2500,0-ზე მეტი, განვითარების მანკის/ტრავმის არ არსებობა - შეუდექით ჭანმრთელი ბავშვის მოვლას შესაბამისი სტანდარტით;

II - არაადექვატური სუნთქვა ან სუნთქვის არ არსებობა - დაიწყეთ რეანიმაცია (ექიმის კომპეტენცია);

III - ადექვატური სუნთქვა, გესტაციური ვადა 37 კვირაზე ნაკლები, წონა <2500,0-ზე, მანკების არ არსებობა - მცირებასიანი ახალშობილის სპეციალური მოვლა ინტენსიურ პალატაში (ექიმის კომპეტენცია);

IV - ადექვატური სუნთქვა, თანდაყოლილი მანკი - მანკის ხასიათის შესაბამისი სტრატეგიის არჩევა/საჭიროებისამებრ რეფერალი სპეციალიზირებულ დაწესებულებაში.

## **მშობიარობის გაუტვივარების მედიკამენტოზური მეთოდები II ჰერიოდში**

გაუტვივარების მედიკამენტოზური მეთოდები, რომელიც გამოიყენება ბოგადად მშობიარობის პროცესში და კონკრეტულად, II ჰერიოდში, შეიძლება 3 ჯგუფად დავყოთ:

1) რეგიონალური ანესთეზია:

- ეპიდურალური;
- სპინალური;
- კომბინირებული.

2) ნარკოტიკული, სედატიური საშუალებების და ტრანკვილიზატორების (ოპიოიდები, ბარბიტურატები, დიაზეპამი) შეყვანა;

3) ინჰალაციური ანალგეზია (აზოტის ქვეუანგი);

მათგან ყველაზე გავრცელებულია ეპიდურალური ანესთეზია.

II პერიოდის დაწყებისას მისი გავეთება იწვევს კარგ რელაქსაციას და ნაყოფის თავიც სწრაფად ეშვება სამშობიარო არხში. გასათვალისწინებელია ის გართულებები, რომელიც თან ახლავს რეგიონალურ ანესთეზიას:

- ჰიპოტონია (სუნთქვის უკმარისობა→გონების დაკარგვა→სიკვდილი);
- ძლიერი თავის ტკივილი;
- ტკივილი ხერხემლის არეში;
- შარდის ბუშტის დისფუნქცია;
- ალერგია/ანაფილაქსია;
- წამლით ინტოქსიკაცია კათეტერის სისხლძარღვში მოხვედრის გამო;
- მშობიარობის ხანგრძლივობის გაზრდა.

ბებიაქალის მოვალეობაა დინამიური მეთვალყურეობა მშობიარეს სუბიექტურ ჩივილებზე, ვიტალურ მაჩვენებლებზე, გართულების პირველი სიმპტომების გამოჩენისთანავე - ანესთეზიოლოგის საქმის კურსში ჩაყენება.

### **3. მშობიარობის III პერიოდის მართვა**

მშობიარობის III პერიოდის მართვის მიზნით ძირითადად 2 მიღებული გამოიყენება:

- ტრადიციული (მოცდითი ტაქტიკა);
- აქტიური მართვა.

#### **ტრადიციული/მოცდითი ტექნიკა გულისხმობა:**

- დინამიურ მეთვალყურეობას (მუდმივად);
- მართვას უტეროტონიკების (ოქსიტოცინი, მეთი-ლერგომეტრინი და სხვ.) გარეშე;
- ჭიდლარის მოქაჩვის/საშვილოსნოზე დაწოლის გარეშე;
- პლაცენტის დაბადების დალოდებას, ან დამატებითი სიმძიმის გამოყენებას, ან ძუძუს თავების სტიმულაციას.

#### **აქტიური მართვა გულისხმობა:**

- ბავშვის დაბადებიდან 1 წთ-ში ოქსიტოცინის (10 ME კუნთში) ან სხვა უტეროტონიკების შეყვანას;
- პლაცენტის დაბადებას კონტროლირებადი ტრაქციის წესით;

- პლაცენტის დაბადების შემდეგ საშვილოსნოს მასაჟს.

### **კონტროლირებადი ტრაქციის წარმოების წესი:**

- დაადეთ მომჭერი ჭიპლარს შორისთან ახლოს და იგი ერთი ხელი დაიჭირეთ;
- მეორე ხელით ბოქვენის ზემოდან დააფიქსირეთ საშვილოსნო მასაზე კონტრდანოლით;
- გაჭერით ჭიპლარი მსუბუქად დაჭიმულ მდგომარეობაში და დაელოდეთ საშვილოსნოს შეკუმშვას (2-3 წთ);
- საშვილოსნოს შეკუმშვისას ქალს თხოვეთ, რომ გაიჭინთოს, პლაცენტის დასაბადებლად ფრთხილად დაქაჩით ჭიპლარი ქვემოთ, ერთდროულად მოახდინეთ კონტრდანოლა საშვილოსნოზე;
- თუ კონტროლირებადი ტრაქციის შემდეგ 30-40 წმში არ ხდება პლაცენტის დაბადება, ტრაქცია უნდა შეწყდეს. იგი გეჭიროთ დაჭიმულ მდგომარეობაში და დაელოდეთ შემდეგ შეტევას. საშვილოსნოს შეკუმშვისას გაიმეორეთ იგივე პროცედურა (ჭიპლარის დაქაჩით ქვემოთ საშვილოსნოზე კონტრდანოლით).

### **III. ჰერიოდის მართვის ძირითადი პრინციპები:**

- აქტიური მართვა;
- ქალის ინფორმირებული თანხმობა აქტიურ მართვაზე;
- პლაცენტის და სანაყოფე გარსების დათვალიერება.

### **მომყოლის დათვალიერება:**

- პლაცენტას ასწევენ ჭიპლარის მეშვეობით;
- პლაცენტის ქსოვილს გადაათარებენ გარსებს პლაცენტის ნაყოფისმხრივი ზედაპირის დათვალიერების მიზნით;
- ყურადღება ექცევა სისხლძარღვებს: თუ ს.ძ. სცილდება პლაცენტარულ ქსოვილს, უნდა ვიფიქროთ პლაცენტის დამატებითი ლებნის არსებობაზე, რომელიც დარჩა საშვილოსნო ღრუში;
- ყურადღებით ვათვალიერებთ გარსების მთლიანობას, გახევის ადგილს;

- დედისმხრივი ზედაპირის დათვალიერების მიზნით პლაცენტას გადააბრუნებენ, მოაშორებენ სისხლის კოლტებს და აკვირდებიან პლაცენტის ქსოვილს დეფექტის აღმოჩენისათვის.

## **უსაფრთხოების უნივერსალური ზომები მშობიარობის დროს**

1. დაიცავით ხელების დაბანის წესი;
2. უსაფრთხოების მიზნით:
  - გამოიყენეთ ხელთათმანები როცა მოსალოდნელია ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტი;
  - თავიდან აიცილეთ ბიოლოგიურ სითხეებთან (სისხლი, შარდი, სანაყოფე წყლები) შეხება. ამისათვის გამოიყენეთ: წინსაფარი, სათვალე, ნიღაბი, ბახილები;
  - დაიცავით სამედიცინო ნარჩენების განადგურების ნორმები (პლაცენტა, სისხლი, წვეტიანი საგნები და ა.შ.);
3. გამოიყენეთ სტერილური ინსტრუმენტები.

### **ხელების დაბანის 6 წესი:**

- I    წესი - ერთი ხელისგული მეორეზე;
- II - მარჯვენა ხელისგული მარცხენა ხელის ზურგზე და პირიქით;
- III - გაუსვით ხელისგულები ერთმანეთს ისე, რომ თითები ერთმანეთს გადაჭდოს;
- IV - ერთი ხელის შეკრული თითები მოხარეთ ფალანგებში და გაუსვით მეორე ხელისგულზე და პირიქით;
- V - აწარმოეთ ცერა თითის ხრახნირებული მოძრაობა მუშტად შეკრული მეორე ხელის ხელისგულზე;
- VI - ერთად შეკრული ხელის თითები წინა-უკანა მიმართულებით ამოძრავეთ მეორე ხელისგულზე და პირიქით.

სადეზინფექციო ხსნარი, რომელიც გამოიყენება ხელების დამუშავებისათვის არის სხვადასხვა.

## ლოგინობის ხანა

**ლოგინობის ხანა** - ანუ პუერპერალური პერიოდი მომყოლის დაბადების მომენტიდან იწყება და ქალის ორგანიზმში ორსულობით გამოწვეულ ცვლილებათა სრული უკუგანვითარებით მთავრდება. ხშირად მას მე-4 პერიოდსაც უწოდებენ. გამოყოფენ ადრეულ ლოგინობის ხანას, რომელიც მომყოლის დაბადებიდან 2 სთ-ის განმავლობაში გრძელდება. სულ აღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობა 6 კვირას შეადგენს.

## ცვლილებები ლოგინობის ხანაში

### 1. სასქესო ორგანოებში მიმდინარე ცვლილებები:

**საშვილოსნო** იწყებს ძლიერ შეკუმშვას, ზომებში მცირდება და 4-5 კვირაში არაორსული ქალის საშვილოსნოს ზომებს უახლოვდება. მასა 1000,0-დან 100,0-მდე მცირდება. საშვილოსნოს ღრუს კედლების ეპითელიზაცია 7-10 დღეში მთავრდება, პლაცენტარული მოედნისა კი მე-6 კვირაზე.

**საშვილოსნო ყელი** - მშობიარობიდან 2-3 დღის შემდეგ საშვილოსნოს ყელის ტონუსი აღდგება. გარეთა პირი კი 2-3 სმ-ზე გახსნილი რჩება. მეორე კვირის ბოლოს ყელი ფორმულია.

**საშო** - მშობიარობის შემდეგ 3 კვირის განმავლობაში საშოს კედლები შეშუპებულია, არხი გაფართოებული. მე-6 კვირაზე შეშუპება საბოლოოდ ქრება.

**ლოქიები** - პირველ დღეებში სისხლიანია, 3-4 დღის შემდეგ სერობულ-სისხლიანი, ხოლო მე-10 დღიდან მე-5-6 კვირამდე - თეთრი ფერისაა.

**საკვერცხები** - ბუნებრივი კვების შემთხვევაში ბევრ მელოგინეს მენსტრუაცია არ აქვს; თუ არ აწოვებს ბავშვს, ოვულაციას შეიძლება ადგილი ექნეს მშობიარობიდან მე-10 კვირაზე.

**სარძევე ჟირკვლები** - მშობიარობის შემდეგ პროლაქტინის მაღალი კონცენტრაციის ფონზე იწყება ლაქტაცია. პირველად სარძევე ჟირკვლები ხსენს, ხოლო შემდეგ რძეს გამოიმუშავებენ.

## 2. ცვლილებები სხვა ორგანოებში:

**საშარდე გზები** - მშობიარობის დროს არცთუ იშვიათად ტრავმირდება შარდის ბუშტი, რის გამოც ადრეული ლოგინობის ხანაში შესაძლოა მოხდეს მისი გადაჭიმვა და შარდის შეკავება. შარდის ბუშტის ატონიის აღბათობა მეტია ეპიდურალური ანესთეზის შემდეგ. დიურეზი ნორმალიზდება მე-2-5 დღეზე.

**გულსისხლძარღვთა სისტემა** - ბუნებრივი გზით მშობიარობისას სისხლის საერთო დანაკარგი 250-500 მლ-ს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, მშობიარობის შემდგომ იმატებს გულის წთ/მოცულობა, რაც დაკავშირებულია პლაცენტარული სისხლის მიმოქცევის შეწყვეტასთან. ორი კვირის შემდეგ ცვლილებები უბრუნდება ნორმას. ასევე მცირდება სისხლში ლეიკოციტების და ფიბრინოგენის შემცველობა.

**საჭმლის მომნელებელი სისტემა** - ესტროგენების გავლენით ორსული ქალის ღვიძლში მომატებულია ცილების სინთეზი, რაც თავის მხრივ, შრატის ცილების დონის მომატებაში ვლინდება. მშობიარობიდან 3 კვირაში ცილების კონცენტრაცია ნორმას უბრუნდება.

## ლოგინობის ხანის წარმართვა

### 1. ბებიაქალის მოვალეობები ადრეულ ლოგინობის ხანში:

- დედის ზოგადი მდგომარეობის შეფასება (to, PI, AD) ყოველ 15 წთ-ში ერთხელ (პირველი 2 სთ), ყოველ 30 წთ-ში (მე-3 სთ);
- საშვილოსნოს შეკუმშვის ხარისხის შეფასება (საშვილოსნოს ინვოლუციის და საშოსმხრივი გამონადენის უწყვეტი მონიტორინგი);
- რბილი სამშობიარო გზების მთლიანობის შეფასება;
- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;
- დედისა და ბავშვის ერთად ყოფნის ორგანიზება, რომელიც ხელს უწყობს: წარმატებულ და ხანგრძლივ ძუძუთი კვებას, დედას საშუალებას აძლევს გამოხატოს დედობრივი გრძნობები და იყოს თავდაჭრებული, ასევე იცავს მათ ინფექციისაგან.

## **2. ბებიაქალის მოვალეობები ლოგინობის მოგვიანებით ხანაში:**

- მელოგინეს საერთო მდგომარეობის შეფასება - ძირითადი ფიზიოლოგიური პარამეტრების (PI, t, Ad) ცვლილებები. დიურები;
- საშვილოსნოს ტონუსის (კონსისტენცია, მტკივნეულობა) შეფასება. საშვილოსნოს ფუძის სიმაღლის განსაზღვრა დინამიკაში;
- საშოდან გამონადენის (ლოქიების) შეფასება - ფერი, სუნი, რაოდენობა;
- სარძევე ჰირკვლების შეფასება;
- სტანდარტული ლაბორატორიული გამოკვლევების (სისხლი, შარდი) ორგანიზება;
- ქალისათვის ახსნა-გარმარტებები: გარეთა სასქესო ორგანოების, სარძევე ჰირკვლების მოვლის, ბუნებრივი კვების და ა.შ. შესახებ;
- დედის ფიზიკური აქტივობის წახალისება.

ცხრილი 21. საშვილოსნოს ზომები ლოგინობის ხანის  
პირველ დღეებში

დღეები	საშვილოსნოს ზომები
1-2	ჭიპის დონებე
მე-3	ჭიპის ქვემოთ 1-2 თითით
მე-4	ჭიპის ქვემოთ 2-3 თითით
მე-5	შუაში ჭიპსა და ბოქვენს შორის
მე-7	ბოქვენის ზემოთ 3 თითით
მე-8	ბოქვენის ზემოთ 2 თითით
მე-10-12	ბოქვენის დონებე

### **3. მშობიარობის შემდგომი პერიოდის გავრცელებული (ტიპიური) პრობლემები:**

- ტკივილი;
- ფსიქოლოგიური პრობლემები: „მესამე დღის მელანქოლია“ (80%-ში), დეპრესია (10-20%), ფსიქოზი (<1%).

### **4. მშობიარობის შემდგომი პერიოდის ძირითადი გართულებები და დაავადებები:**

- მშობიარობის შემდგომი სისხლდენა (საშვილოსნოს ჰიპოტონია, მომყოლის ნაწილების ჩარჩენა, ყელის ჩახევა, საშვილოსნოს უკუგანვითარების დარღვევა და სხვ.);
- მშობიარობის შემდგომი ინფექციები;
- ეკლამპსია;
- საშარდე გზების დაავადებები;
- შორისის და საშოს ტკივილი.

### **5. საშიში ნიშნები (ქალისმხრივი) მშობიარობის შემდგომ პერიოდში:**

- ვაგინალური სისხლდენა (2-3 ჰიგიენური პაკეტი 30 წთ-ში);
- ტემპერატურის მომატება;
- სუნთქვის გაძნელება;
- მუცლის ტკივილი;
- სარძევე ჭირკვლების და კერტების ტკივილი;
- შარდის შეუკავებლობა ან მტკივნეული/გაძნელებული შარდვა;
- საშოდან სუნიანი ჩირქოვანი გამონადენი.

### **6. საშიში ნიშნები (ნაყოფისმხრივი) მშობიარობის შემდგომ პერიოდში.**

- მოდუნება, მოძრაობითი აქტივობის დაქვეითება;
- სირთულე კვების მხრივ;
- სუნთქვის გაძნელება ან გულმკერდის რბილი ნაწილების გამოხატული ჩადრეკა;
- კვნესა, კრუნჩხვები;
- ტემპერატურა  $38^{\circ}\text{C}$  და მეტი;
- ტემპერატურა  $35,5^{\circ}\text{C}$  და ნაკლები;

- ჭიპლარის ტაკვიდან სისხლიანი/ჩირქოვანი გამონადენი;
- მტევნების და ტერთების მოყვითალო შეფერილობა.

**დედისა და ახალშობილის მშობიარობის შემდგომი  
(პირველი კვირა მშობიარობის შემდგომ) მოვლა**

### **1. დედისა და ახალშობილის მშობიარობის შემდგომ პერიოდში მოვლის 4 ძირითადი პრინციპი:**

- დედის და ბავშვის კარგი ფიზიკური თვითშეგრძნების უზრუნველყოფა;
  - დახმარება ადრეული და წარმატებული ძუძუთი კვების ჩამოყალიბებაში;
  - ხელის შეწყობა დედის თავდაჯერებულობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში;
  - კონსულტირება ოჯახის დაგეგმვის შესახებ, ასევე სტაციონარიდან გაწერის შემდეგ ბავშვის მოვლის საკითხებზე.
- 2. მშობიარობის შემდგომ პერიოდში დედისა და ახალშობილის მოვლის არაეფექტური საშუალებებია:**
- მედიკამენტების რუტინული გამოყენება (უტეროტონიკები, ანტიბიოტიკები, გამაყუჩებლები);
  - ჩვენების გარეშე - რუტინული გამოკვლევები (ულტრაბგერა, გინეკოლოგიური გასინჯვა, ლაბორატორიული გამოკვლევა);
  - ახლობლების და ნათესავების ნახვის შეზღუდვა;
  - დედის და ბავშვის კონტაქტის შეზღუდვა;
  - ძუძუს კერტების დასამუშავებლად სხვადასხვა მაღლამოების გამოყენება;
  - ახალშობილის მჭიდრო შეხვევა;
  - ახალშობილის საკონტროლო აწონვა კვებამდე და შემდეგ.

### **3. ინფექციის პროფილაქტიკა (დედა):**

- სარძევე ჭირკვლების ინფიცირების პროფილაქტიკა: ადრეული და ექსკლუზიური ძუძუთი კვება, სწორი მოჭიდება, კვება მოთხოვნით;
- პირადი ჰიგიენა - ხელების დაბანა, შხაპი, შორისის ხშირი ჩაბანვა, შესაფენის ხშირი ცვლა (სუფთა შესაფენი).

#### **4. ახალშობილის 4 ძირითადი მოთხოვნილება:**

- სიყვარული;
- სითბო;
- ძუძუთი კვება;
- ინფექციის პროფილაქტიკა.

**5. ძუძუთი კვება** - უნდა დაიწყოს დაბადებიდან რაც შეიძლება მაღვე, არაუგვიანეს 30 წთ - 1 სთ-ის განმავლობაში და ახალშობილი მუდმივად უნდა იყოს დედასთან.

- დედის რძე - უზრუნველყოფს სრულფასოვან კვებას, ადვილად შეითვისება, იცავს ინფექციისაგან;
- ძუძუთი კვება - უზრუნველყოფს ემოციურ კონტაქტს და განვითარებას, იცავს დედას ხელახალი დაორსულებისაგან;
- ახალშობილი რძეს იღებს საკმარისი რაოდენობით თუ: მას კუჭის მოქმედება აქვს ყოველდღიურად, შარდავს 6-8-ჯერ დღეში, კვების შემდეგ დაკმაყოფილებულია და წონაში ნამატი საშუალოდ 125-150,0/კვირაში;
- ძუძუთი კვება წარმატებულია, თუ ბავშვი სწორად ეჭიდება მას. სწორი მოჭიდების დამადასტურებელი ნიშნებია: ბავშვის შემოტრიაალება მთელი სხეულით დედისაკენ (პირი ფართოდ აქვს გაღებული, ნიკაპი მიბჟენილია ძუძუზე), იგი წოვს ღრმა გამოქაჩით, მშვიდია და კმაყოფილი, ხოლო დედა არ გრძნობს ტკივილს ძუძუს კერტების არეში.

#### **6. ახალშობილის მოვლის ზოგადი პრინციპები:**

- ადრეული და ექსკლუზიური ძუძუთი კვება;
- დედის და ახალშობილის ერთად ყოფნა;
- ოჭახის წევრთა თავისუფალი ვიზიტები პალატაში;
- მხარდაჭერა პერსონალის მხრიდან;
- სისუფთავე ჭიპლარის მოვლის დროს;
- მოვლის ინდივიდუალური საგნები;
- ადრეული გაწერა.

მშობიარობის შემდგომი კონტრაცეპცია (რეკომენდაციები ჭანმრთელი დედებისთვის)

## **1. კონტრაცეპციის მეთოდის შერჩევა მეძუძური დედებისათვის**

ლოგინობის ხანაში კონტრაცეპციის მეთოდები მათი გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით იყოფა:

ა) მეთოდებად, რომელთა გამოყენება შეიძლება **დაუყოვნებლივ**, მშობიარობის შემდეგ:

- ლაქტაციური ამენორეჟის მეთოდი - ლამ-ი;
- ქირურგიული სტერილიზაცია (მინილაპარატომია) მშობიარობიდან 48 სთ-ის განმავლობაში;
- სშს (მშობიარობიდან 48 სთ-ის განმავლობაში);
- კონდომები და სპერმიციდები.

ბ) მეთოდები - მშობიარობიდან 6 კვირის შემდეგ:

- სშს;
  - დიაფრაგმა;
  - ქირურგიული სტერილიზაცია (მინილაპარატომია/ ლაპარასკოპია);
  - პროგესტინული კონტრაცეპტივები (აბები, იმპლანტები, საინექციო);
- გ) მეთოდები - მშობიარობიდან 6 თვის შემდეგ:
- კომბინირებული ორალური აბები (კოკ-ი);
  - კომბინირებული საინექციო კონტრაცეპტივები.

## **2. ლაქტაციური ამენორეჟის (ლამ) მეთოდი** - ფიზიოლოგიურია. მისი ეფექტურობისათვის საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა:

- ბავშვის ექსკლუზიურად ძუძუთი კვება;
- კვებათა შორის ინტერვალები არა უმეტეს 4 სთ-ისა დღისით და 6 სთ-ისა ღამით;
- ამენორეჟა;
- ბავშვის ასაკი 6 თვეზე ნაკლები.

## **3. კონტრაცეპციის მეთოდის შერჩევა დედებისათვის, რომელიც ძუძუთი არ კვებავს:**

ა) **დაუყოვნებლივ:**

- კონდომები, სპერმიციდები;
- ქირურგიული სტერილიზაცია (ლაპარასკოპია - მშობიარობიდან 48 სთ განმავლობაში);
- სშს (მშობიარობიდან 48 სთ განმავლობაში);

- პროგესტინული აბები, იმპლანტები, საინექციო საშუალებები.
- ბ) სამი კვირის შემდეგ:
- კომბინირებული ჰორმონალური კონტრაცეპტივები (კოკ, კიკ-ი).
- გ) მშობიარობიდან 6 კვირის შემდეგ:
- სშს;
- დიაფრაგმა;
- ნებაყოფლობითი ქირურგიული სტერილიზაცია (მინილაპარატომია/ლაპარასკოპია).

### **აივ/შიდსის დედიდან ბავშვზე გადაცემის პროცესილაქტიკა და სითრთხილის ზომები**

დედიდან ბავშვზე აივ-ინფექციის გადაცემა შეიძლება მოხდეს საშვილოსნოში, მშობიარობის დროს ან პოსტნატალურად, ძუძუთი კვების დროს.

- 1. აივ/შიდსის ვერტიკალური ტრანსმისიის რისკის ინტრანატალური ფაქტორებია:**
  - 70%-ში დედისაგან შიდსის გადაცემა ხდება მშობიარობის დროს;
  - მშობიარობის დროს გადაცემის რისკს ზრდიან შემდეგი ფაქტორები: უწყლო პერიოდი (4 სთ და მეტი), მცირე მენტის ორგანოების ანთებითი დაავადებები, მაღალი ვირუსული დატვირთვა/დაავადების მიმდინარეობის სიმძიმე.
- 2. დედის ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ბავშვზე აივ-ინფექციის გადაცემის რისკის შემცირების/პრევენციის სტრატეგია შემდეგში მდგომარეობს:**
  - ანტირეტროვირუსული თერაპია (ზიდოვუდინის ხანგრძლივი კურსი);
  - გეგმიური საკეისრო კვეთა;
  - ახალშობილის ხელოვნური კვება;
  - უსაფრთხო და ლეგალური სერვისის ხელმისაწვდომობისას ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა;
  - სხვა ღონისძიებები (სგგდ-ს გამოვლენა და მკურნალობა, ძუძუთი კვების დროს ანტირეტროვირუსული მკურნალობა და სხვა), რომლებიც შემდგომ შესწავლას საჭიროებენ.

**3. აივ-ინფორმაციული დედები მშობიარობის შემდგომ პერიოდში უფრო მიღრევილნი არიან ინფექციური გართულებებისადმი. მათი პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით **საჭიროა**:**

- ვასწავლოთ ქალებს მშობიარობის შემდგომი ინფექციური გართულებების ნიშნები და სიმპტომები;
- მივაწოდოთ ინფორმაცია სად და როდის შეიძლება სამედიცინო დახმარების მიღება;
- ვასწავლოთ შორისის და სარძევე ჰირკვლების მოვლის წესები;
- ვასწავლო სისხლიანი ნივთების და მასალების უსაფრთხო უტილიზაციის წესები;
- ანტიბიოტიკებით მკურნალობის ორგანიზება.

**4. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და კონსულტირება ადრეულ ლოგინობის ხანაში:**

- სტიგმის შემცირება;
- ფსიქოსოციალური მოთხოვნების შეფასება;
- დედა/ბავშვის ერთად ყოფნა;
- კონფიდენციალობის და პაციენტის უფლებების დაცვა.

**5. ოჯახის დაგევმვა დედის აივ-იუვენიის კონტექსტში:**

- დაუგეგმავი ორსულობის თავიდან აცილება ორმაგი კოტრაცეპციის გამოყენებით;
- ხაზგასმა პრეტერვატივის მუდმივი გამოყენების უპირატესობის და უსაფრთხო სექსის გამოყენების სტიმულირება;
- პარტნიორის ჩართვა კონსულტაციაში.

**6. სიურთხილის აუცილებელი ზომები:**

- ნემსით ნაჩხვლები ჭრილობების მაქსიმალურად თავიდან აცილება, ნემსებისა და სხვა ბასრი იარაღების სპეციალურ კონტეინერებში მოთავსება;
- ყველა ოპერაციის დროს ორმაგი ხელთათმანების გამოყენება;
- ეპიზიოდომის დროს ნემსდამჭერის გამოყენება;
- ეპიზიორაფიის ან საკეისრო კვეთის ჩატარებისას თვალების დამცავი საფარის გამოყენება;

- საკეისრო კვეთის ჩატარებისას ყველა ბასრი საგნის სინით მიწოდება, ნემსებთან მხოლოდ (!) ნემსდამჭ-ერით ურთიერთობა;
- წყალგაუმტარი საფენის დადება ღია ჭრილობებზე;
- საპნითა და წყლით ხელების დაუყოვნებლივ დაბანა სისხლთან/სხეულის სხვა სითხეებთან კონტაქტის შემდეგ;
- ბიოლოგიურ სითხეებთან სავარაუდო კონტაქტის წინ სათანადო ზომის რეზინის ხელთათმანების ჩაცმა;
- პლაცენტის ხელით მოცილების დროს დიდმანუე-ტიანი ხელთათმანების გამოყენება;
- მყარი ნარჩენების (მაგ, სისხლით გაფრთხილი მასა-ლის/პლაცენტის უსაფრთხო მოცილება დადგენილი პროცედურების დაცვით.

## **ტექსტში გამოყენებული შემოკლებების განმარტებები:**

**ჭანმო** - მსოფლიო ჭანდაცვის ორგანიზაცია

**სგგდ** - სქესობრივად გადამდები დაავადებები

**სშს** - საშვილაოსნოს შიდა საშუალებები

**კოკ** - კომბინირებული ორალური კანტრაცეპტივები  
(აბები)

**კიკ** - კომბინირებული საინექციო კონტაცეპტივები

**ლამ** - ლაქტაციური ამენორეის მეთოდი

## სარჩევი

შესავალი .....	3
I თავი - ორსულობა .....	6
II თავი - მშობიარობა .....	36
ტექსტში გამოყენებული	
შემოკლებების განმარტებები .....	70

შენიშვნები



The background of the page features a soft, abstract design. It consists of a dark blue base color with a subtle gradient. From the top left, a series of thin, bright white or light blue rays radiate downwards and outwards towards the bottom right, creating a sense of depth and light. The overall effect is elegant and modern.

[www.midwives.ge](http://www.midwives.ge)  
[www.hera-youth.ge](http://www.hera-youth.ge)